გაზეთი ბოლოვრია, „ვერსიას" ეწერება

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№87 (982) 19 – 21 სექტემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რატომ შიმშილობს აფხაზეთის ომის ვეტერანი გმირთა მემორიალთან

გვ. 5

ექსკლუზიური ინტერვიუ ნოდარ ხადურთან

რას პასუხობს ოპონენტებს და რას უმხელს „ვერსიას" ფინანსთა მინისტრი

გვ. 6–7

ნაციონალები ახალ პოლიტიკურ გადანაწილებაზე ალაპარაკდნენ

„პრეზიდენტის იმპიჩმენტს პარლამენტში მხარს არ დავუჭერთ!"

გვ. 4

სად არის ოპოზიცია და დაპირებული საპროტესტო აქციები

გვ. 3

არასაპარლამენტო პარტიები, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით, ოქტომბრიდან გააქტიურდებიან

შსს-მ თაღლითური დაჯგუფება გამოავლინა

გვ. 2

გვ. 6

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სუბუტექსი ამოიღო

ქართველი მეცნიერის გამოგონება ბუნებრივი კატაკლიზმების წინააღმდეგ



თამაზ ნანიტაშვილი: „ამ პროექტს საქართველოსთვის რამდენიმე მილიარდი დოლარის მოტანა და მსოფლიოს გადარჩენა შეუძლია"

გვ. 8

27-წლიანი სასჯელი დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია

გვ. 5

პატიმრის დღიური

პრემიერ-მინისტრი ფრანგ სენატორებს შეხვდა

ალენ გურნაკსა და ფილიპ დალიესთან შეხვედრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საუბრით დაიწყო. პრემიერმა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისა და ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკისთვის სენატორებს მადლობა გადაუხადა.

საუბრის მთავარი თემა ასოცირების ხელშეკრელებით ნაკისრი ვარდებულებების შესრულება და შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში საფრანგეთის მხარდაჭერის მნიშვნელობა იყო. მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებასა და ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს თანამშრომლობის გაღრმავებაზე. სენატორები გურნაკი და დალიე საფრანგეთი-კავკასიის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის წევრები არიან.

შეხვედრას ქართული მხრიდან პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ესწრებოდა.

„პირველი“

საქართველო ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისთვის დახურულ ზონად ცხადდება

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების“ შესახებ. მას მხარი 65-მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგი კი 2 მათგანი იყო. კანონის ინიციატორი საქართველოს მთავრობაა. „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ კანონის თანახმად, წესრიგდება ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში სამართლებრივი ურთიერთობები, კერძოდ, განისაზღვრება მათი ჩაკეტილ სისტემებში გამოყენებასთან (რისკების კლასიფიკაცია, ლიცენზიის გაცემა, ადმინისტრაციული წარმოება, გადაწყვეტილების მიღება და ა. შ.), გარემოში ინტროდუქციასთან (შეტანასთან), საბაზრო ქსელში განთავსებასთან და ტრანსსასაზღვრო გადაზიდვების რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები (ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა, რეექსპორტი/ტრანზიტი, და ა.შ.), გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ასევე კანონით განისაზღვრება გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროს რეგულირების ძირითადი პრინციპები, ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია ამ სფეროში, კანონპროექტით რეგულირდება გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული საკითხები და ზიანის ანაზღაურების წესი.

„პირველი“

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა რამდენიმე შპს-ს დამფუძნებლები დააკავა

მოქალაქეებმა, გივი ბურჯანაძემ და ზაზა ბურჯანაძემ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, 4 სხვადასხვა კომპანია დაარეგისტრირეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ბრალდებულებმა საბაჟო გადასახადისთვის დაწესებული 5-დღიანი საშეღავათო პერიოდის ბოროტად გამოყენება განიზრახეს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, დაარეგისტრირეს 4 სხვადასხვა კომპანია და საქართველოში 573 121 ლარის ღირებულების ნავთობის მასალა ბიტუმი, ასევე საკვები პროდუქტი — ქიშმიში და ფინიკი შემოიტანეს.

პროდუქციის განბაჟების შემდეგ ბრალდებულებმა თავი აარიდეს იმპორტის გადასახადებს, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს განსაკუთრებით დიდი ოდენობის, 136 566 ლარის ზიანი მიადგა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით გრძელდება, რაც თავისუფლების 4-დან 6 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

„პირველი“

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმიდან ექსპერტ ლევან ჩაჩუას ეპიზოდი ცალკე წარმოებად გამოიყო

ლევან ჩაჩუას ადვოკატის, ზურაბ ტაბიძის განმარტებით, ცალკე წარმოებად გამოყოფილ საქმეზე წინასასამართლო სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში 22 სექტემბერს, 12:00 საათზე ჩატარდება, სადაც ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლას და ჩაჩუას გათავისუფლებას მოითხოვს.

ზურაბ ტაბიძე ჩაჩუას საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შუამდგომლობის დაყენებას აპირებდა, თუმცა, როგორც ადვოკატი ამბობს, პროკურატურამ სასამართლო პროცესის გამართვამდე, თავად მიიღო ეს გადაწყვეტილება.

ადვოკატის თქმით, მას უკვე ჩაბარდა საქმის მასალები, სადაც ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციის ჩატარებაზე ცნობა არ არსებობს. შესაბამისად, ადვოკატის თქმით, აღნიშნული პროცედურა არ არის ჩატარებული: **„ექსჰუმაცია უნდა ჩატარდეს მთავარი საქმის ფარგლებში, საიდანაც გამოიყო ხარშილაძის, ძაძამიასა და ჩაჩუას საქმეები. მთავარი საქმე ზურაბ ჟვანიას გაზით გაგუდვაზეა აღძრული უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით 2005 წლის 3 თებერვალს“.**

მისი თქმით, თუკი ექსჰუმაცია ჩატარდება და აღმოჩნდება, რომ ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვს რაიმე სასიკვდილო დაზიანებები ჰქონდათ, ასეთ შემთხვევაში ექსპერტის მიმართ სიყალბეზე უნდა აღიძრას საქმე და დანარჩენების მიმართ – განზრახ მკვლელობაზე, თუმცა პროცედურა ამ დრომდე არ ჩატარებულა.

ექსპერტ ლევან ჩაჩუას, ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით ედება, რაც გულგრილ დამოკიდებულებას გულისხმობს.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით ბრალდებულია სამი პირი — ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძამია, დაცვის უფროსი კობა ხარშილაძე და ექსპერტი ლევან ჩაჩუა. სამივე მათგანი პატიმრობაშია.

ახალი ხელისუფლების პირობებში, ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების ფარგლებში, პროკურატურაში განაცხადეს, რომ გამორიცხული არ არის, ზურაბ ჟვანიას ცხედარს ექსჰუმაცია ჩაუტარდეს.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ თაღლითური დაჯგუფება გამოავლინა

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თაღლითობის ფაქტზე ბრალი წარუდგინეს 12 პირს: 1979 წელს დაბადებული გიორგი მ, 1969 წელს დაბადებული გიორგი კ, 1969 წელს დაბადებული მერაბ მ, 1956 წელს დაბადებული გია კ, 1969 წელს დაბადებული გიორგი კ, 1954 წელს დაბადებული თამაზ ბ, 1960 წელს დაბადებული ანა ბ, 1960 წელს დაბადებული ზაქარია ფ, 1957 წელს დაბადებული ნანი ბ, 1962 წელს დაბადებული ჯიმშერ რ, 1951 წელს დაბადებული კონსტანტინე კ. და 1951 წელს დაბადებული ნუგზარ ბ, ხოლო იგივე ბრალდებით 1979 წელს დაბადებული სოსო გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა 2013-2014 წლებში მონახეს მათთვის სანდო პირები, რომელთა სახელზეც ფორმალურად გააფორმეს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთები და შეადგინეს მათი ყალბი მიღება-ჩაბარების აქტები. აღნიშნული აქტების თანახმად, ნაკვეთები ნდობით აღჭურვილ პირებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ საკუთრებაში 1997 წელს გადაეცათ. ბრალდებულებმა ყალბი მიღება-ჩაბარების აქტები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინეს, ხოლო შემდეგ თითოეულ მათგანზე დარეგისტრირდა ექვსას-ექვსასი კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთები, რომლებიც შემდგომ სხვა პირებზე გაასხვისეს. სახელმწიფოსთვის მიყენებულმა ზარალმა ჯამში 597 000 ლარი შეადგინა.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობის, ყალბი დოკუმენტისა და ბეჭდის დამზადება-გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთ სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო.

„ვერსიანიუსი“

პარლამენტი ავტოსადგომის ფართს 1 მლნ 155. 6 ათას ლარად შეიძენს

პარლამენტი, თბილისში მდებარე პარლამენტის შენობასთან ავტოპარკინგის მოწყობის მიზნით, ავტოსადგომის ფართს 1 მილიონ 155.6 ათასს ლარად შეიძენს. საუბარია პარლამენტის გვერდით ახლადაშენებული კორპუსის ფარეხის ნაწილის შესყიდვაზე.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისთვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობის 1 მილიონ 155.6 ათასი ლარით შემცირების გადაწყვეტილება. აღნიშნული თანხა ცენტრალური ბიუჯეტისკენ მიემართება და შესყიდვას ეკონომიკის სამინისტრო განახორციელებს.

ამ თემაზე განმარტებები პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა გააკეთა, რომლის თქმით, შეთანხმება პარლამენტსა და სამშენებლო კომპანიასთან ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში არსებობდა, ავტოფარეხის შესყიდვის პირობები კი, ხელსაყრელია: **„საქართველოს პარლამენტს თბილისში ესაჭიროება ადგილები, სადაც გაჩერდება მანქანა. არის სკოლა, დასახლებული ადგილი და შეუძლებელია პარლამენტის წევრმა ან თანამშრომელმა მანქანა გააჩეროს. ჯერ კიდევ წინა პარლამენტს ხელშეკრულება დადებული ჰქონდა იმ მშენებლობასთან, რომელიც პარლამენტის გვერდით მიმდინარეობდა. ამ შეთანხმებით აღებული იყო ვალდებულება, შენობის ფარეხის გარკვეული ნაწილი პარლამენტს ან იჯარით, ან იჯარა-გამოსყიდვით გადასცემოდა. როცა პარლამენტი მუშაობს თბილისში ისევე, როგორც ქუთაისში, ცხადია არის საჭიროება, პარლამენტის წევრებმა მანქანა გააჩერონ, ამიტომ მიღებულია გადაწყვეტილება: რადგან არსებობდა წინა პარლამენტის მიერ აღებული ვალდებულება და შემოთავაზებულია ძალიან მისაღები ფასი, სასურველია იყოს შესყიდვა და პარლამენტმა ყოველწლიურად იჯარის თანხები არ იხადოს. შესყიდვა მოხდება ეკონომიკის სამინისტროს მიერ. ეს თანხა გადაეცემა ცენტრალურ ბიუჯეტს და როდესაც შეისყიდიან, შესყიდული ქონება პარლამენტის ბალანსზე გადმოვა“.**

თბილისში, პარლამენტისთვის ავტოფარეხის შეძენის გადაწყვეტილება მიუღებელია საპარლამენტო უმცირესობისთვის. როგორც პლენარულ სხდომაზე ითქვა, მანქანების დასაყენებლად ფული არ უნდა იხარჯებოდეს იქ, სადაც პარლამენტის ადგილსამყოფელი არ არის.

„ინტერპრესნიუსი“

სად არის ოპოზიცია და დაპირებული საპროტესტო აქციები

ირუსუდან შელია
557-100-768

არასაპარლამენტო პარტიები, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით, ოქტომბრიდან გააქტიურდებიან

საზაფხულო პაუზის შემდეგ პოლიტიკური პროცესები აქტიურ ფაზაში შედის — პრეზიდენტსა და პრემიერს, ასევე პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის ურთიერთობა ჩიხში შევიდა, აქტუალობას არ კარგავს კითხვა — ვის ენიჭება უპირატესობა საგარეო ვიზიტებზე გამგზავრების შესახებ. ირკვევა ისიც, რომ უელსის სამიტზე პრეზიდენტმა მინისტრებს რამდენიმე შეხვედრაზე დასწრების შესაძლებლობა არ მისცა, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ მურმან დუმბაძე პარტიიდან გარიცხა, რასაც შესაძლოა აჭარაში ფრაქციის დაშლა მოყვეს, პარლამენტშიც უმრავლესობასა და უმცირესობას შორის დებატები პიკს აღწევს, მინისტრები ნაციონალების შეთქმულებებზე საუბრობენ... არასაპარლამენტო ოპოზიცია კი არსად ჩანს. არადა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გაპროტესტებას ჯონდი ბაღათურია შემოდგომაზე მასობრივი საპროტესტო აქციებით აპირებდა. 2014 წლის ივნისში გაჟღერებულ მის განცხადებასაც შეგახსენებთ: **„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები „ქართული ოცნების“ განაჩენი იყო. ესენი ძალაუფლებას ვეღარ შეინარჩუნებენ. ამათი უსამართლო მმართველობა შემოდგომაზე დაემხობა“.**

დაპირებული შემოდგომაც დადგა, თუმცა დღეს **ჯონდი ბაღათურია,** რომელიც ნინო ბურჯანაძის მიერ შექმნილ კოალიციაშია, „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ საპროტესტო აქციების გამართვა თვითმიზანი არ არის და უახლოეს მომავალში პრემიერთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და უმრავლესობასთან შეხვედრას შეეცდება, რათა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად თარიღის დანიშვნა მოითხოვოს. მისი განცხადებით, უახლოეს მომავალში ნინო ბურჯანაძის ირგვლივ შექმნილი კოალიციის დაშლაც არ იგეგმება: **„ამ ეტაპზე, კოალიციის დაშლის საფუძველი არ არსებობს. პარტიებს საამისო განწყობას ნამდვილად ვერ ვატყობ. რაც შეეხება პოლიტიკურ აქტივობას, მართალია არც ზაფხულში „გვეძინა“, მაგრამ მომავალში ბუნებრივია, უფრო გავაქტიურდებით. სხვათა შორის, ზაფხულში სამეგრელოსა და აჭარაში მოსახლეობასთან საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრები გავმართეთ. ახლა პოლიტიკაში ის დრო, როცა პოლიტიკური და სამართლებრივი ბრძოლა ყველაზე მნიშვნელოვანია — კოალიციის დაშლის პროცესი დაწყებულია, შიდადაპირისპირება ზედაპირზე ჩანს. ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა მოვითხოვოთ. საქართველოს პარლამენტი ფუნქციას ვერ ასრულებს. პირიქით, რეალობასა და საზოგადოებას აბსოლუტურად მოწყდა და პოლიტიკური იმპოტენტი გახდა. ვფიქრობ, ამ ფონზე ჩვენი მოთხოვნა წარმატებული იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის განვითარება საბოლოოდ შეჩერდება. უახლოეს მომავალში აუცილებელია უმრავლესობის წარმომადგენლებს, ასევე პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შევხვდეთ, რათა ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოვთხოვოთ, სავარაუდოდ, ეს ოქტომბერში უნდა მოხერხდეს. პარალელურად, აუცილებელია საარჩევნო რეფორმის გატარებაც. საპროტესტო აქციები ჩვენი თვითმიზანი არ არის, მაგრამ, თუ მეტი დამაჯერებლობისა და პოლიტიკური ზეწოლისთვის ხალხის ქუჩაში გამოყვანაა აუცილებელი, ამ პროცესს მხარს აუცილებლად დავუჭერ. არა მგონია, ნინო ბურჯანაძეს განსხვავებული პოზიცია ჰქონდეს“.**

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნის დღის წესრიგში დაყენებას გეგმავენ ლეიბორისტებიც. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი გუგავა** მიიჩნევს, რომ ქვეყანას უუნარო პარლამენტი ჰყავს. რამდენად უნარიანია თავად ოპოზიცია? ამ კითხვას, რიგით მეორე ლეიბორისტი ამგვარად პასუხობს: **„შალვა ნათელაშვილი და პარტია პოლიტიკურად ყოველთვის აქტიურად მუშაობს. ლეიბორისტები პოლიტიკური პროცესების მიღმა არასოდეს ვყოფილვართ, განსაკუთრებით სოციალურ საკითხებზე. ახლაც რეცეპტებით წამლების გაცემას ვაპროტესტებთ. ნათელაშვილი ცოტა ხნის წინ აშშ-ში, სენატში იმყოფებოდა, სადაც საარჩევნო რეფორმებზე რამდენიმე პროექტი წარადგინა. სამომავლოდ კი, ჩვენი ამოცანაა, ქვეყანაში ხელისუფლების უპასუხისმგებლობით გამოწვეული კრიზისი დასრულდეს და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. მანამდე, აუცილებელია საარჩევნო კოდექსის რეფორმა, რათა გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა შედეგები კვლავ არ გააყალბონ“.** „ვერსიის“ კითხვაზე, ხომ არ აპირებს ლეიბორისტული პარტია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ნინო ბურჯანაძის კოალიციასთან ერთად ბრძოლას, გიორგი გუგავა პასუხობს, რომ სხვა პარტიებთან გაერთიანებაზე არ ფიქრობს.

ჯერჯერობით, ფიქრის პროცესში არიან ახალი მემარჯვენეები, თუმცა პარტიის ლიდერის, **ფიქრია ჩიხრაძის** განცხადებით, დაახლოებით ერთ კვირაში პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურებას გეგმავენ: **„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ამ ეტაპზე, სწორედ მისი შედეგებს ვაფასებთ და გეგმებს ვსახავთ. გასააზრებელია ქვეყანაში არსებული ვითარებაც, თუმცა ქართულ პოლიტიკაში იმდენად ქაოსია, მკაფიო პოზიციის ჩამოყალიბება მარტივი სულაც არ არის; ბოლო პერიოდში პოლიტიკური მოვლენების შეფასებაზე უარი არ გვითქვამს, უბრალოდ, თავად ჯერ არ გვიცდია აქტიური ქმედებები, თუმცა უახლოეს ხანში, შესაძლოა 22 სექტემბრიდანაც, გააქტიურებას ვგეგმავთ. უმჯობესი იქნება, დეტალებზე მოგვიანებით ვისაუბროთ“.**

საგარეო მიმართულებით გააქტიურებას გეგმავენ ეროვნულ-დემოკრატები. **ბაჩუკი ქარდავა** განცხადებით, საზოგადოებაში ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების იდეის პროპაგანდა აუცილებელია: **ეროვნულ-დემოკრატები პოლიტიკურ პროცესებში პასიურობას არ ვაპირებთ. პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობა კონკრეტული იდეოლოგიის სამსახურია. ჩვენთვის პარტია კარიერისა და ცხოვრების კომფორტულად მოწყობას არ ნიშნავს. ედპ-ს პრინციპი ქვეყნის უსაფრთხოებაზეა აგებული, რისთვისაც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებაა აუცილებელი. მომავალში სწორედ ამ ხედვის პროპაგანდას ვგეგმავთ. ამასთან, გვინდა, იგივე იდეოლოგიის პარტიები საერთო პოზიციაზე ჩამოყალიბდნენ. შიდაკონკურენცია გარდაუვალია, მაგრამ დასავლურ კურსზე დამყარებული პარტიები, როგორც მინიმუმ, კოორდინირებულად უნდა ვმოქმედებდეთ. საქართველოს სხვა არჩევანი არ აქვს — ნატო ათავისუფლებს, კრემლი — იპყრობს. ქვეყნის ისტორიიდან გამომდინარე ვერ წარმოვიდგენდი თუ გაჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ რუსეთთან დაახლოების აუცილებლობაზე ისაუბრებდნენ. საბედნიეროდ, ისინი ცოტანი არიან. თუმცა ამ მიმართულებით მოქმედება აუცილებელია. სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ვგეგმავთ. კონკრეტულად კი, ჯერჯერობით, არ ვისაუბრებ“.**

აქტიურ პოლიტიკაში რჩება ყოფილი ვიცე-სპიკერი **პაატა დავითაიაც**, რომელიც ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას ტელევიზიების გაკონტროლებაში სდებს ბრალს: **„თუ ტელევიზიით არ ვჩანვარ, არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე არ ვაქტიურობ. პირიქით, თითქმის ყველა პროცესს ვეხმაურები, დიპლომატიურ კორპუსს ვხვდები, რამდენიმე დღეში ამერიკის საელჩოში დაგეგმილი მაქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრები... უბრალოდ, ეს ყველაფერი არ პიარდება. ტელევიზიების ერთ ნაწილს „ქართული ოცნება“, მეორეს ნაციონალები აკონტროლებენ. პოლიტიკური დებატებიც მხოლოდ მათ შორის იმართება, თუმცა პირადად მე ეს პროცესი მახარებს. ორივე პოლიტიკური ძალა დეგრადირების გზას დაადგა: „ქართული ოცნება“ იშლება, ნაციონალები კი ჩაიკეტნენ და ირგვლივ არაფერს ამჩნევენ. ასეთი პოლიტიკური ვითარება ბიძინა ივანიშვილმა შექმნა, რაც დიდხანს ვერ შენარჩუნდება“.**

რაც შეეხება საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გეგმებს, ამჟამად **ირმა ინაშვილი** და დავით თარხან-მოურავი ევროპაში ვიზიტით იმყოფებიან, პარტიაში კი აცხადებენ, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. ამ მიზნით, მალე პატრიოტთა ალიანსს ახალი სახეები შეემატება.

ერთი სიტყვით, ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებასა და არასაპარლამენტო ოპოზიციაში პოზიციის ჩამოყალიბებას დაველოდოთ.

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალურ ვიზიტს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში არაბული მედია ეხმაურება

ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე „გალფნიუსი“ და „ემირატს 24/7“ წერენ.

არაბული გამოცემების ცნობით, შეხვედრების მთავარი თემები თანამშრომლობის გაღრმავება და საერთო მიზნების მისაღწევად საჭირო ნაბიჯები იყო.

„გალფნიუსის“ ინფორმაციით, აბუ დაბის ტახტის მემკვიდრემ, შეიხმა მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანმა ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ ასეთი ვიზიტები ეხმარება ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას, თანამშრომლობის ახალი გზების მოძიებას და გამოცდილების გაზიარებას, რომელიც ძლიერ პარტნიორობას აყალიბებს და ხელს უწყობს ორი ქვეყნის განვითარებას.

„აბუ დაბის ტახტის მემკვიდრემ და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განიხილეს ორი ქვეყნის ინსტიტუციებისა და მთავრობების კოორდინაციის საკითხი და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სავაჭრო-ეკონომიკურ, საინვესტიციო და საგანმანათლებლო სფეროებში“, — წერს „გალფნიუსი“.

საქართველოს მთავრობის მეთაურისა და აბუ დაბის ტახტის მემკვიდრის შეხვედრის შესახებ წერს ასევე „ემირატს 24/7“. გამოცემის ინფორმაციით, შეიხმა მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანმა და ირაკლი ღარიბაშვილმა ორი ქვეყნის ურთიერთობების პერსპექტივები განიხილეს და ისაუბრეს როგორც რეგიონში, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე.

„პირველი“

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 72 სამხედრო მოსამსახურე შეემატა

ფიცის დადების ცერემონიალი ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ გაიმართა.

ცერემონიალს სამხედრო მოსამსახურეების მშობლები და ნათესავები დაესწრნენ. კრწანისის სასწავლო ცენტრში მშობლის სტატუსით იმყოფებოდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და მისი მეუღლე ნათია ფანჯიკიძე. ისინი რიგითი ნიკოლოზ ალასანიას ფიცის დადების ცერემონიალს პირადად დაესწრნენ.

ღონისძიების შემდეგ, მშობლებს საშუალება ჰქონდათ, წვევამდელებს გასაუბრებოდნენ. თავდაცვის მინისტრმა და მისმა მეუღლემ ნიკოლოზ ალასანიას და დანარჩენ წვევამდელებს ფიცის დადება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

წვევამდელებმა საწყისი საბრძოლო მომზადება სამი კვირის განმავლობაში ეროვნულ სასწავლო ცენტრში გაიარეს. ამ ხნის განმავლობაში მათ შეისწავლეს ტოპოგრაფია, საცეცხლე მომზადება, სამხედრო წესდება და ტაქტიკა. კურსის დასრულების შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეები „კრწანისის“ დაცვის ასეულში ჩაირიცხებიან და ერთი წლის განმავლობაში ბაზის დაცვის ფუნქციებს შეასრულებენ.

„კრწანისში“ გამოფენა მოეწყო, სადაც მოწვეულმა სტუმრებმა სასწავლო ცენტრის სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა დაათვალიერეს.

„პირველი“

პრეზიდენტის „მძიმე ჯვარი“

მარგველაშვილს ახლა იმის მტკიცება უნევს, რომ სააკაშვილი არაა

გიორგი იაშვილი

თითქოს ის არ ეყოფოდა, ამერიკული ვოიაჟის გარეშე რომ დარჩა, გიორგი მარგველაშვილს ახლა იმის მტკიცება უწევს, რომ ნამდვილად მარგველაშვილია და არა სააკაშვილი. გაერო-ს სამდივნოდან საგარეო საქმეთა სამინისტროში მისულ მიმართვაში, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტი გაერო-ში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ სამიტზე მიიწვიეს, მარგველაშვილის ნაცვლად, სააკაშვილი ეწერა. ჰოდა, ატყდა ერთი ამბავი, გაერო-ში რატომ არ შეატყობინეთ, საქართველოში პრეზიდენტი რომ შეიცვალაო. არადა, გაერო-ში კი არა, პრეზიდენტი რომ შეიცვალა, საქართველოში ძლივს გაიგეს. უფრო სწორად, ის კი გაიგეს, რომ მიშა წავიდა, მაგრამ ვინ მოვიდა, ბევრმა, ვგონებ, დღემდე არ იცის. თავიდან ვიფიქრე, ეს იმის ბრალია, რომ მარგველაშვილი პლასტილინის კაცია-თქო. აკი, თავადაც თქვა, პლასტილინის კაცი ვარო და მგონი, სხვადასხვა ფორმას რომ იღებს, იმიტომ ვერ ვიგებთ, როდის რა განწყობაზეა, სად არის, როგორ გამოიყურება... ეგეც არ იყოს, მე მარგველაშვილი წვერით და ფაფარაშლილი მახსოვს, მაგრამ მერე იმიჯი შეუცვალეს, გაპარსეს, გაკრიჭეს... როგორც დავით აქუბარდია იტყოდა, მე ის გაბურძგნული გიორგი უფრო მომწონდაო, მაგრამ...

მარგველაშვილი მაშინ მიხვდა, შარში რომ იყო, ინაუგურაციის პირველ დღეს ივანიშვილმა რომ გამოუცხადა, პირველი ლედი ღარიბაშვილის მეუღლეაო. მერე შედარებაც მოიყვანეს, გერმანიის პირველი ლედი ანგელა მერკელია და არა ქვეყნის პრეზიდენტის (თავისი მარგველაშვილი გერმანელებსაც ჰყავთ) ცოლიო, თუმცა... მერკელი პირველი ლედი კი არა, მერკელია და აქ დიდი წერტილი უნდა დავსვათ. სადავო იქ არაფერია. გერმანია „პრადვინუტი“ ქვეყანაა, ნუ... ძაან „პრადვინუტი“...

ჰოდა, სანამ საგარეო საქმეთა სამინისტროს მარგველაშვილის გაპრეზიდენტების ამბავსა და ამ ამბის საერთაშორისო დონეზე მიჩქმალვას „სპირალივით“ დაუხვევდნენ და გაუმზადებდნენ, „სპირალის“ ავტორის შვილმა ის მისალოცი ბარათი გამოაქვეყნა, რომელიც პან გი მუნმა გამოაგზავნა და რომელშიც მარგველაშვილს გაპრეზიდენტებას ულოცავს. რა გამოდის, გაერო-ში იცოდნენ, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდა და მერე დაავიწყდათ? არა, პან გი მუნის ასაკის გათვალისწინებით კი შეიძლება ასეთი რამ გამორჩეს, მაგრამ მეორეს მხრივ, გაერო-ს გენ-მდივანს კი არა, საქართველოშიც, მგონი, მარტო დუშეთის მოსახლეობას ახსოვს, რომ პრეზიდენტად მარგველაშვილი გვყავს.

ზოგადად, ეს ყველაფერი უკვე იმდენად სასაცილოდ ჩანს, რომ სიცილით მავანთ ცრემლი მოსდით. სიცილი და ტირილი ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ეს ყველაზე კარგად ქართველმა ერმა იცის, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ბოლო დროს აღარ ვიცით, ვიცინით თუ ვტირით, უბრალოდ პირი გვაქვს მოღებული და ცრემლი გვდის. ახლა არ მითხრათ, ადრეც ასე იყოო, რადგან ადრე სხვაგვარად გახლდათ — ცრემლი გვდიოდა და ვინც პირის გაღებას გაბედავდა, ისეთს მოსცხებდნენ, პირის კი არა, კარის გაღებასაც კი გადააფიქრებინებდნენ, სულს ამოხდიდნენ...

არ გეგონოთ, რანგით ვუტოლებდე (ცნობადობით, კი, ბატონო), მაგრამ მურმან დუმბაძეზეც უნდა ვთქვა. ეს კაცი ჯერ რესპუბლიკური პარტიიდან გარიცხეს, ახლა „ქართული ოცნებიდან“ და ისიც ამბობს, პარლამენტში ოპოზიციის ფლაგმანი ვიქნებიო. ანუ, მარტივად რომ აგიხსნათ, პარლამენტში ერთ მხარეს აბესალომი იქნება („ქართული ოცნება“), მეორე მხარეს ეთერი (ნაციონალური მოძრაობა), შუაში კი მურმანის ეკალი და კოჰაბიტაციას არ დაანებებს... ისე, მურმანს კობა დავითაშვილმაც თუ აუბა მხარი, მერე ნახეთ თქვენ. დავითაშვილი, ხომ გახსოვთ, რომელია?! ეგეც რამდენიმე პარტიიდან გარიცხეს, მერე კი თავად გარიცხა საკუთარი თავი პოლიტიკიდან და ახლა სად არის, ნამდვილად ვერ გეტყვით.

P.S. დასასრულ — რაღაც აცივდა ამ ბოლო დროს თბილისში. ანუ, მოსაზრება, რომ საქართველოში მხოლოდ ზაფხული და ზამთარია და გაზაფხული და შემოდგომა უბრალოდ არ არსებობს, ისევ მყარდება. არადა, ხალხს ახალი კოსტუმები აქვს და ჩაცმა სურს, მაგრამ ამინდი არ ანებებს. პრინციპში, ზოგს ამინდი, ზოგს საგარეო საქმეთა სამინისტრო... არადა, ამერიკისთვის რა კოსტუმი ჰქონდა გამზადებული...

„პრეზიდენტის იმპიჩმენტს პარლამენტში მხარს არ დავუჭერთ!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობები დღითიდღე მწვავდება. გარდა იმ სასაცილო მდგომარეობისა, რომელშიც თავს თავად იყენებენ, ამომრჩევლის თვალში რეიდების, აჭარის კონფლიქტისა და რელიგიური დაპირისპირების ფონზე, მეტისმეტად უსუსურადაც გამოიყურებიან. ამის შემდეგ, აღარც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ შექმნილი ვითარებით, ყველაზე მეტად სწორედ ოპონენტი ძალა, ნაციონალები ისარგებლებენ; მით უმეტეს, ჩვენთან ინტერვიუში საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი არც სხვა პარტიებთან, მათ შორის არც დუმბაძე-მარგველაშვილთან თანამშრომლობას გამორიცხავს და შესაძლო ახალ გადანაწილებაზეც საუბრობს. „ვერსიის“ კითხვებს გიორგი ვაშაძემ უპასუხა.

ნაციონალები ახალ პოლიტიკურ გადანაწილებაზე აღაპარაკდნენ

— აჭარაში მიმდინარე მოვლენები შევაფასოთ — ეს რელიგიური ექსტრემიზმია, მართვის კრიზისი თუ თქვენ მიერ დაგეგმილი საბოტაჟი?

— რაც დღეს აჭარაში ხდება, იმ უგნური მოქმედების გაგრძელებაა, რაც „ოცნებამ“ სამცხე-ჯავახეთში, მინარეთის „მოჭრით“ დაიწყო. ვითარებას პოლიტიკურ ჭრილში თუ შევხედავთ, კრიზისი მთელ ქვეყანაშიც და აჭარაშიც, არაფორმალური მმართველობითაა გამოწვეული — სახელმწიფოს, არაფორმალურად, ისევ ბიძინა ივანიშვილი მართავს, დირექტივებს იძლევა და ამ დირექტივებს ადამიანები, ვინც პრემიერად, მინისტრებად, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა, ხან ასრულებენ, ხან ვერა. არეულობის მთავარი მიზეზი მაინც კლანური დაპირისპირებაა, რომელშიც „ოცნების“ ელიტამ მხარი არა მურმან დუმბაძეს, არამედ პრემიერის კაცს, ხაბაძეს დაუჭირა. მეცინება, როცა ამბობენ, რატომ ერევა ბათუმის მაჟორიტარი აჭარის მთავრობის საქმიანობაშიო! ჯერ ერთი, სწორედ ეს ევალება დეპუტატს და მეორე, როცა ივანიშვილი ყველაფერში სხვაზე მეტად ერევა, ეს ბრალდებები აღარ უნდა წამოაყენონ. მან კი დირექტივა გასცა და ახლა ყველა ერთნაირ კომენტარს აკეთებს მურმან დუმბაძეზე.

— დუმბაძის თემას ყველა არ გამოხმაურებია, მათ შორის, პრეზიდენტი. შეიძლება თუ არა, მას ამ კონფლიქტში საინტერესო როლი ჰქონდეს?

— დუმბაძესა და მარგველაშვილს დღეს იმხელა პოტენციალი არ აქვთ, მოვლენების განვითარება ერთად დაგეგმონ.

— და თუ მათ ნაციონალებიც დაეხმარებით?

— ნაციონალურ მოძრაობას მყარი პოზიცია აქვს. ჩვენი აზრით, „ქართული ოცნება“ შიგნიდან აირია. ზოგი ივანიშვილის ყურმოჭრილი მონაა, ზოგი კი უკვე თავისი აზრის თქმას ბედავს, ხოლო ასეთებს ავტომატურად, კეთროვანივით იცილებენ. ასეთია თუნდაც მურმან დუმბაძე და პრეზიდენტი. მარგველაშვილი მოცილებულია, კაცს საზღვარგარეთ ვიზიტი ჩაუშალეს და ალბათ, მალე რეზიდენციაში შუქსა და გაზსაც გადაუჭრიან. მის წინააღმდეგ ყველა მეთოდს გამოიყენებენ, რათა პრეზიდენტობის პერიოდი მისთვის კატასტროფული იყოს. ჩანს, ის ივანიშვილის ყურმოჭრილი მონა არაა.

— ბოლო თვეებში, პრეზიდენტის ინსტიტუტის დაცვის სახელით, მარგველაშვილს ძალიან ესარჩლებით.ამ ბრძოლაში მის მოკავშირეებად უნდა გიგულოთ?

— განსხვავებული მოსაზრებები პარტიის შიგნითაც გვაქვს, მაგრამ მსჯელობის შემდეგ საერთო დასკვნებამდე მაინც მივდივართ. ხშირად, შეიძლება ჩვენი პარტიის ლიდერები ერთმანეთისგან განსხვავებულ განცხადებებსაც აკეთებენ, მაგრამ ესეც ჯანსაღი პროცესია. რაც შეეხება თანამშრომლობას, არაფერს გამოვრიცხავთ. ჩვენ შეიძლება ვითანამშრომლოთ როგორც ცალკეულ პირსა და დამოუკიდებელ ძალებთან, ისე სხვა პოლიტიკურ ორგანიზმებთან.

— კონკრეტულად მარგველაშვილსა და დუმბაძესთან?

— დღეს პოლიტიკური სპექტრი ძალიან დავიწროებულია. „ქართული ოცნება“ ორმაგ თამაშს თამაშობს და მის გარდა, არიან მკვეთრად პრორუსული ძალები — ნინო ბურჯანაძისა და დავით თარხან-მოურავის პარტია, რომლებთანაც ნებისმიერი ტიპის თანამშრომლობას გამოვრიცხავთ, რადგან ჩვენს შორის წითელი ხაზია გავლებული. ჯერჯერობით, „ოცნებაც“ ერთიან ძალად მიიჩნევა. ჩვენი პარტიიდან რაღაც ძალების გამოყოფისა არ იყოს, „ოცნების“ დაშლაზე საუბარიც, ჯერჯერობით, მხოლოდ ჭორებია, ამიტომ დღეს თანამშრომლობას ცალკემდგომ ვერც ერთ ადამიანთან ვერ განვიხილავთ. რაც შეეხება დუმბაძეს, შევხედავთ, რა მდგომარეობა იქნება აჭარაში და კონკრეტულ თემებზე თანამშრომლობას არ გამოვრიცხავთ, არც იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალების გარდა, აჭარის უზენაეს საბჭოში რაიმე სხვა ფლანგი წარმოიქმნა. თუ რაიმე ახალი ფლანგი მართლაც შეიქმნება და აჭარის უკეთესი განვითარება ენდომება, მათთან თანამშრომლობაზე ვიფიქრებთ, მაგრამ თუ ბათუმის ბულვარებში ჩაღუნული სკამების ყურება ურჩევნიათ, ამ პოლიტიკაში ვერ გამოვადგებით.

— რა ახალ გადანაწილებაზე საუბრობთ და მაინც არ მიპასუხეთ, როგორი პოზიცია გექნებათ, თუ ვთქვათ, პარლამენტი მარგველაშვილის იმპიჩმენტს შეეცდება?

— ვფიქრობ, პრეზიდენტი გადაწყვეტილებების მიღებისას უფრო რადიკალური უნდა იყოს. ეს უფრო პოზიტიური იქნებოდა და მარგველაშვილს თავისი რეალური ძალა რომ ეჩვენებინა, უფრო დავუფასებდი. დღეს კი ჩვენი პრეზიდენტი ყველაფერზე ორჭოფობს, თუმცა მაინც ერთადერთი ადამიანია, ვინც „ოცნების“ რეგრესულ პოლიტიკასთან შეწინააღმდეგებას ცდილობს. რაც შეეხება იმპიჩმენტის საკითხს, ამაზე პარტიის შიგნით ჯერ არ გვიმსჯელია, მაგრამ პირადად მე, ბიძინა ივანიშვილის „პოხონდრიების“ გამო, პრეზიდენტის იმპიჩმენტს, თითიდან გამოწოვილი მიზეზების გამო, მხარს არ დავუჭერ.

— ყოფილი პრემიერი ბოლო ინტერვიუში ამბობს, რომ გინდათ, საქართველო ცეცხლის ალში იწვოდეს. ამას ემატება უგულავას წერილი „მატროსოვიდან“. თითქოს ხელისუფლებას თქვენი გეგმების შესახებ რაღაც ინფორმაცია აქვს. რას ნიშნავს ბრალდებათა ეს ჯაჭვი?

— ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური სპეკულაციებია, რათა „ქართულმა ოცნებამ“, როგორმე, რეიტინგი შეინარჩუნოს. ზუსტად ამ რეიტინგის ვარდნის კომპენსირებისთვისაა ჩვენი მხრიდან მომავალი საფრთხეების შესახებ საუბარი, რისიც აღარავის სჯერა.

— თუმცა, თქვენგან არ მომისმენია, რომ ეს წერილი, სადაც შემოდგომაზე გააქტიურებაზეა საუბარი, ყალბია.

— დაზუსტებით ვამბობ — ეს შეთითხნილი წერილია, რომელიც გიგის არ ეკუთვნის! ჩანს, „ოცნებას“ სურს, შექმნას ვითარება, თითქოს, გიგი „მატროსოვიდან“ რევოლუციის მოწყობას აპირებს! ისიც გავიგე, ვიღაცას უთქვამს, გიორგი ვაშაძე „ზონდერებს“ აგროვებსო . მართლა მკითხეს „ზონდერებს“ მართლა არეგისტრირებო?! ვიხუმრე, აი, უკრაინაში რომ დავდივართ, რეფორმების გატარებაში ვეხმარებით და ისინი საბურავებით გვამარაგებენ-მეთქი. არ მესმის, ხუმრობაზე ყველა აცრილია? საბოლოოდ, ჩერჩეტი და უტვინო არავინაა, ამიტომ ვერავითარ საფრთხეს ვერ ვხედავ და ეს ყველაფერი საქილიკოა.

— ხუმრობა იქეთ იყოს, მაგრამ რეიდებითა და ლუდის სმაზე დაჯარიმებით შეწუხებული ხალხის უკმაყოფილება გროვდება. სად და როგორ შეიძლება, ამ მუხტმა თავი იჩინოს?

— ათასი სცენარი შეიძლება განვითარდეს. ეს უკმაყოფილება, პირველ რიგში, „ოცნებაზე“ აისახება. შეიძლება, მათ ცოტა ხანში გვითხრან, დავიშალეთ, აღარ ვართო. ნამდვილად არაა გამორიცხული, ასე თუ გააგრძელეს, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე თავი კოალიციის სახით ვერც მიატანონ. თუ 2016 წლამდე ერთად მიაღწევენ, ეს ძალისმიერი მეთოდებისა და შანტაჟის გზით მიღებული ერთობა იქნება. ცოტა ხანში, „საჭმელად“ ნაციონალური მოძრაობა გამოელევათ და მერე ჩვეულებრივ მოქალაქეებზე გადავლენ. პრინციპში, უკვე გადავიდნენ კიდეც. ნეტა,მათ ტვინში ჩამახედა, ვინც ხალხს ქუჩაში ლუდის სმაზე აჯარიმებს და იმავე ქუჩაზე ქურდსა და მკვლელს ვერ ხედავს. ეს პრობლემა 2 წლის წინ დადგა, როცა „ოცნებამ“ დანაშაულის დაფარვა დაიწყო.

— ახლახან დაიდო ახალი სტატისტიკა, რომლის მიხედვით, დანაშაულმა 17 %-ით იკლო, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი კი, პირიქით, გაიზარდა.

— როცა სისტემა დანაშაულის დაფარვას იწყებს, იქ კრიმინალს ველარ გააჩერებ. პირდაპირ გეტყვით, პატრულს აძლევენ მითითებას, რომ შემთხვევის ადგილზე როცა გადის, დანაშაული არ დაარეგისტრიროს და ოფიციალურად არ დააფიქსიროს. შესაბამისად, სწორი ვერც ეს სტატისტიკა იქნება, დამნაშავე კი დაუსჯელი რჩება.

— ვინ იძლევა ამ დავალებას, ან თქვენ საიდან იცით?

— ამას ჭიკაიძე რომ ვერ გადაწყვეტს, ფაქტია, ალბათ, მას ღარიბაშვილმა დაავალა. ქუთაისში იყო ფაქტები, რომ დაყაჩაღებულ ოჯახებს პოლიცია ეუბნებოდა, ოღონდ პოლიციაში განცხადება არ შეიტანოთ და ჩვენ მოგიგვარებთ პრობლემასო. ამ მიდგომამ შედეგად ის მოიტანა, რომ „ოცნებას“ კრიმინალი ხელიდან გაექცა.

— კი მაგრამ, სად არიან დაზარალებულები, სად არის ოპოზიცია, ან თქვენ საკმარისად აქტიური ხართ?

— საქართველოში ჩვენს გარდა, სხვა ოპოზიცია არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ვხედავთ, რომ დანარჩენები ხელისუფლებას ელაქუცებიან. სატელევიზიო თვალსაზრისით, აქტიურები ვართ, მაგრამ ეს არაა საკმარისი. მეტი აქტიურობაა საჭირო. უფრო ხშირად უნდა შევხვდეთ ხალხს, მეტი ვიაროთ რეგიონებში და იქ მიჩქმალული ინფორმაცია გავახმაუროთ. ასევე, უნდა შევიმუშაოთ ალტერნატიული მექანიზმები, როგორ უნდა იმართებოდეს ქვეყანა.

— ეს რას ნიშნავს?

— ქვეყანას რეფორმები სჭირდება და არა რაღაც გაუგებარი რებრენდინგები. ამ საკითხზე უკვე ვმუშაობთ და მალე საზოგადოებას რეფორმების ახალ ტალღას შევთავაზებთ.

აფხაზეთის ომის ვეტერანი გმირთა მემორიალთან შიმშილობს

რუსუდან შელია
557-100-768

ერთ კვირაზე მეტია გმირთა მოედანზე, ომში დაღუპულთა მემორიალთან ვეტერანი გიორგი ხიზანიშვილი შიმშილობს. როგორც თავად ყვება, ამ ხნის განმავლობაში ყურადღება ხელისუფლების ვერც ერთი შტოსგან დაიმსახურა, გარდა ვეტერანთა დეპარტამენტისა. ეს უკანასკნელიც დახმარებას დაპირდა, მაგრამ მოშიმშილესთან შემდეგ აღარ გამოჩენილა... „ვერსია“ აფხაზეთის ომის ვეტერან გიორგი ხიზანიშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც სახელმწიფოსგან, პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის ფუნქციებზე დავის ნაცვლად, ელემენტარულ ყურადღებას ითხოვს, რაც ამ ეტაპზე, მხოლოდ 22-ლარიანი პენსიით გამოიხატება.

„არ ვიცი, ვის რას ვუშავებ, არც მკლავენ და არც მეუბნებიან, რა ხდება ჩემს თავს“

— აფხაზეთის ომში ვიბრძოდი... „თეთრი გიორგის“ შემადგენლობაში ვიყავი, რომელიც „თეთრი არწივის“ შენაერთში შედიოდა. როცა დაიწყო აფხაზეთში ომი, ბიჭები შევიკრიბეთ და აფხაზეთში წავედით. პირველად გაგრის მოვლენების დროს გამიწვიეს, თუმცა რამდენჯერაც მთავრობა მოლაპარაკებაზე ხელს მოაწერდა, შეიარაღებული ნაწილები, ძირითადად, ყარყარაშვილის გვარდია, ბრძოლის ველიდან გამოყავდათ. სოხუმშიც ვიბრძოდი, სადაც სამწუხაროდ, ომში შემთხვევით მოხვედრილი ბიჭები იყვნენ, ორგანიზებული სამხედრო ნაწილები არსად ჩანდა. აჩადარაშიც ვიომე, მაგრამ დღეს ამაზე არავინ საუბრობს.

— იქნებ იმიტომ, რომ წაგებული ომის გახსენება ერს არ მოსწონს?

— აფხაზეთში თითოეული მეომარი ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ რეალური საბრძოლო ბირთვი გვარდია, „შავნაბადა“, ხოლო ოჩამჩირეში — „მხედრიონი“ იყო. სოხუმელებიც იბრძოდნენ, მაგრამ ვაჟკაცობა კი არა, წვრთნა, აღჭურვა და გამოცდილება იგებს. ეს აგვისტოს ომშიც გვაკლდა. პატარა ბიჭი რომ ვიყო, ვიტყოდი, ყველაფერი შევარდნაძის ბრალია-მეთქი, მაგრამ დღეს ვხვდები, რომ აფხაზეთში ომი თავიდანვე წაგებული იყო. ჯარი არ არსებობდა, არადა მებრძოლების დეფიციტი არ იყო. უბრალოდ, გაფანტულ ბიჭებს შეკრება და იარაღით აღჭურვა სჭირდებოდა. აფხაზეთი არაორგანიზებულობამ დაგვაკარგვინა. თავდასხმაზე ვერ გადავდიოდით, მხოლოდ თავს ვიცავდით და ბოლოს, ესეც შეუძლებელი გახდა. აფხაზეთის ომმა მეომრებს გარკვეული გამოცდილება მოგვცა, მაგრამ გამოცდილი მებრძოლები სახელმწიფომ უარყო. ომის დასრულების შემდეგ, შეიარაღებული ძალები დავტოვე, მაგრამ მაშინვე გამოძალვის ბრალდებით დამიჭირეს. ანგელოზი ვარ-მეთქი, არ ვამბობ, მაგრამ არავინ დამიყაჩაღებია, ადამიანი არ მომიკლავს, მიუხედავად ამისა, მაქსიმალურად დამსაჯეს. სხვისი ცოდვებისთვისაც კი მე ვაგე პასუხი. 10 წელი მომისაჯეს... 2003 წლის ცვლილებებს იმედით შევხვდი. თავიდან თითქოს ქვეყანა დალაგების გზას დაადგა, მაგრამ ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადების შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა. 2005 წელს ისევ დამიჭირეს, თუმცა ამჯერად, რეალურად შეკერილი საქმის გამო — „სუბუტექსის“ აბის მესამედი „ჩამიდეს“, რის გამოც რამდენიმე წელი ციხეში გავატარე. ციხეში კი, როგორი პირობებიც იყო, ყველას კარგად მოეხსენება. არჩევნებამდე გავრცელებულ კადრებში ასახულ ძალადობას არ ვგულისხმობ. როცა ციხეში მოვხვდი, საკნები იმდენად გადატვირთული იყო, ორი თვე, ე.წ. კრიტში გადაყვანამდე, ფაქტობრივად, 24 საათი ფეხზე ვიდექი. რა თქმა უნდა, სიმკაცრე მაშინაც იყო, კამერებიც ეყენა, მაგრამ ციხის ადმინისტრაციის მთავარი მოთხოვნა იყო, ნარკოტიკი არავის შემოეტანა, პატიმრებს არ ეთამაშათ და არ ეჩხუბათ.

— არჩევნებამდე გავრცელებულ კადრებში დადგმული სცენები იყო და ციხეებში პატიმრებზე არ ძალადობდნენ?

— მსგავსი ვითარება ციხეში ყოველთვის იყო, შევარდნაძის დროსაც, როცა ციხე „ქურდების“ ხელში იყო. რამდენიმე დღის წინ ვიღაცამ ბავშვი რომ დააუთოვა, ის ციხეში ნორმალურ პირობებში არ იქნება, დილა-საღამოს ცოცხს დააკავებინებენ ხელში. უბრალოდ, 2010-2012 წლებში ციხეში ძალადობამ მასობრივი სახე მიიღო. აგვისტოს ომის შემდეგ ამნისტია შემეხო და სასჯელი გამინახევრდა... 2010 წელს ციხიდან გამოვედი. თითქმის მთელი ცხოვრება, აფხაზეთის ომში წასვლიდან, სამართლიანობას ამაოდ ვეძებ. ტყუილად ჰგონია ამ მთავრობას, რომ სამართლიანობის აღდგენა მიშასა და ვანოს დევნაა, თუმცა იმაშიც ეჭვი მეპარება, მათ რეალურად დევნიან თუ არა. 2010 წელს ციხიდან გამოსულს ისევ დევნა დამიწყეს. არ ვიცი, ვის რას ვუშავებ, არც მკლავენ და არც მეუბნებიან, რა ხდება ჩემ თავს. ნაძალადევის პოლიციაში დამიბარეს და „დავერბოვკება“ სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. ამის გამო სამჯერ სასტიკად მცემეს. ახლა ჩემი საქმე პროკურატურაში დევს, მაგრამ ორი წელია არავინ იძიებს. საპარლამენტო არჩევნებამდე თეა წულუკიანის საარჩევნო შტაბში ვიყავი, 24 საათის განმავლობაში ვეხმარებოდი მაშინ, როცა ხალხს გარეთ გასვლის ეშინოდა და შეხვედრებზე არ მოდიოდა. არჩევნები მოვიგეთ, მაგრამ სისტემაში არაფერი შეცვლილა. უბრალო მოქალაქეები ისევ არავის აინტერესებს.

— ამიტომ დაიწყეთ გმირთა მემორიალთან შიმშილობა?

— ვეტერანზე გაჭირვებული ადამიანი არ არსებობს. პირველ რიგში, ფსიქოლოგიურად გვიჭირს. ჯანმრთელობა შერყეული მაქვს, კომპლექსური მკურნალობა მჭირდება. ჩემი სახსრებით ექიმთან მისვლა შევძელი და რაც დავადგინე, ნერვის თიაქარი, შიდა ქალის წნევა და C ჰეპატიტია... აფხაზეთის ომიდან ფსიქოლოგიური პრობლემებით ჩამოვედი. რეალობას მოვწყდი. ომი სხვა სამყაროა — ნორმალური ადამიანისთვის რთული გასაძლები. ყველაფერზე ჩემი შეხედულება მაქვს. ფიზიკური მუშაობაც აღარ შემიძლია, შემოსავალი არ მაქვს, სახელმწიფო კი 22-ლარიან დახმარებას მირიცხავს. გამაგებინონ, 22 ლარით როგორ ვიცხოვრო?! ჩემ წინაშე სახელმწიფო უკვე დამნაშავეა. გამწარებულმა ცხოვრებამ ქუჩაში საშიმშილოდ გამომიყვანა.

— ვეტერანთა დეპარტამენტის ხელმძღვანელად ირაკლი შიხიაშვილი დაინიშნა. კმაყოფილი ხართ ამ გადაწყვეტილებით და უწყებიდან ვინმე თუ დაინტერესდა თქვენი მდგომარეობით?

— შიხიაშვილი დეპარტამენტის ხელმძღვანელად რომ დაინიშნა, შიმშილობა დაწყებული მქონდა. მისი სახელი და გვარი ჩემთვის არაფერს ნიშნავს, თუმცა მასზე რაღაცები გამიგია, ვეტერანია. მასთან შეხება საკრებულოში მქონდა, მკურნალობის დაფინანსება ვთხოვე, 500 ლარი გამომიყო, მაგრამ ამ თანხის ჩარიცხვა დროში ისე გაიწელა, ვერაფერი გავაკეთე. რამდენიმე დღის წინ დეპარტამენტიდან მოვიდნენ და მკურნალობასა და სამსახურს შემპირდნენ, მაგრამ ამის შემდეგ არ გამოჩენილან. მომაქციოს მთავრობამ ყურადღება. ან მკურნალობის თანხით დამეხმარონ, ან ნორმალური პენსია დაგვინიშნონ, რომ არსებობა შევძლოთ.

27-ნლიანი სასჯელი დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია

პატიმარი №0578

როგორ აიძულეს იღოს ცრუ ჩვენების მიცემა და რაფომ ამოისვირინგა პატიმარმა ფეხისგულებზე „პაგონები“

ნებისმიერი პატიმრისთვის ციხე ჯოჯოხეთია. რაც უნდა კარგად იყოს ციხეში პატიმარი, საღამოს, საკნის დაკეტვის მჭახე ხმა მაინც ახსენებს, რომ ტუსაღი, უფლებაშეზღუდული ადამიანია და თავისუფლად გადაადგილების უფლება არ აქვს. ყოველ დილა-საღამოს პატიმრებს პირუტყვივით ითვლიან. ამაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს — შეგრძნება, რომ დასათვლელად გამეტებული, უფლებააყრილი ადამიანი ხარ, რომელსაც საათობრივად აპურებენ. თან, ტრაპეზის დრო სანამ მოვა, ზონის ეზოში სეირნობისას, სასადილოდან გამომავალ მძაღე სუნზე ხვდები, რა სალაფავს გიმზადებს მზარეული.

თუმცა, არიან უფრო უბედური პატიმრებიც. ისინი, ვისაც უკვე მიუსაჯეს რამდენიმე წელი და თუ რომელიმე გამომძიებლის საქმეში მისი გვარი გაიჟღერებს, ახალი ძიება იწყება და ახალი სასჯელი გემატება. „რასკრუტკა“ ყველაზე საშინელია, რაც კი შეიძლება პატიმარს დაემართოს.

ილია ი. 18 წლის იყო, როცა მკვლელობაზე დაიჭირეს. თავადაც ამბობდა, სისულელე ჩავიდინე, არაფრისთვის კაცი მოვკალი და რაც მომისაჯეს, დავიმსახურეო. მისჯილი 15 წელი ჰქონდა, აქედან 11 — უკვე მოხდილი. ცუდი ის იყო, რომ ამ მკვლელობის შემდეგ, ილოსთან ურთიერთობაზე საკუთარი ოჯახის წევრებმა თქვეს უარი და ციხეში არც და-ძმები აკითხავდნენ. შვიდი დედმამიშვილი ვართო, — ამოიოხრებდა ხოლმე ილო და თვალები ცრემლით ევსებოდა.

ერთადერთი, ვინც ილო არ დაივიწყა, შეყვარებული იყო. აკითხავდა, ამანათიც მოჰქონდა და ილოც, მის მზეს ფიცულობდა. აქედან რომ გავალ, პირველივე დღეს ცოლად მოვიყვანო, ამბობდა...

2011 წლის ზამთარი იდგა. რუსთავის №17 დაწესებულება წესისამებრ დაკეტეს და ბალანდა დაარიგეს. ცოტა ხნის შემდეგ, საკნის კარი გაიღო და ოფიცერმა ილოს ანიშნა, ჩაიცვი, გელოდებიანო. დაკეტვის შემდეგ ზონიდან გაყვანა კარგს არაფერს ნიშნავდა, რადგან იშვიათი გამონაკლისის გარდა, ციხიდან ამ დროს არავის უშვებდნენ. მითუმეტეს, უპატრონო ილოს, მოულოდნელ თავისუფლებას არავინ მიანიჭებდა. პატიმრებმა ფანჯრიდან დაინახეს, რომ ილო ადმინისტრაციის კორპუსში შეიყვანეს, დაახლოებით ორი საათის შემდეგ კი იქიდან ნაცემი ძაღლივით დაბრუნდა. საკანში შესულს ხმა არ ამოუღია, თავზე ბალიში წაიფარა და დაახლოებით ნახევარი საათი უხმოდ იყო. მერე თავი წამოსწია, საკანს თვალი მოავლო და პატიმარ №0578-ს უხმო.

„ჭკვიანი კაცი ხარ. რჩევა მჭირდება. გამომძიებელი იყო მოსული, რაღაც საქმეს იძიებს და იარაღია საქმეში. ვიღაც უცნობი ტიპი, ხელს მადებს, ეგ იარაღი 11 წლის წინ ილომ მაჩუქაო. ანუ, სანამ დამიჭერდნენ, მანამდე ვაჩუქე თურმე. არადა, ცხოვრებაში იარაღი არ მქონია. ის უბედურიც რომ მოვკალი, ჩემი არ იყო, მოკლულს წავართვი. გამომძიებელი მეუბნება, აიღე შენს თავზე ეს იარაღი, მაქსიმუმ ორ წელს დაგიმატებ, ეს ორი წელი რომ დაგრჩება, უდო-თი გაგიშვებ, გპირდებიო. რა ვქნა?! როგორ მოვიქცე?! არ მომწონს ეს საქმე და იმ ორ წელზე არ არის საუბარი, უფრო დიდ უბედურებას არ მიმზადებდნენ“, — ტირილნარევი ხმით მოჰყვა ილო.

საკანი გაირინდა. მიხვდნენ, ილო შარში იყო. მერე ყველა ერთად აყაყანდა, ზოგი გამომძიებელს აგინებდა, ზოგი რეჟიმს. მხოლოდ პატიმარი №0578 იჯდა უხმოდ. შემდეგ ილოს ჰკითხა, კიდევ როდის მოვაო და როცა გაიგო, რომ გამომძიებელმა მოსაფიქრებლად მხოლოდ ერთი დღე მისცა, უპასუხა — მაგ შეხვედრას მეც უნდა დავესწრო, კატეგორიულად მოითხოვე.

მეორე საღამოს საკნიდან ჯერ ილო გაიყვანეს, შემდეგ პატიმარი №0578. ადმინისტრაციის კორპუსის ერთ-ერთ ოთახში შესული პატიმარი შედგა — ილო წინ დაახლოებით 25 წლამდე გოგონას ეჯდა და ესაუბრებოდა. **„ილო, ეს ნაშა ვინ არის, გამომძიებელი რატომ არ მოვიდა“?** — გაიოცა შესულმა. **„ისანი-სამგორის რაიონის დეტექტივ-გამომძიებელი შორენა წიკლაური“,** — ჩააბულბულა გოგონამ და გაიღიმა.

ორსაათიანი საუბრის შემდეგ, პატიმრები საკანში დააბრუნეს.

„ილო, ეგ გოგო აზრზე არ არის ამ ცხოვრების. ჰგონია, სიმართლეს ემსახურება. ძაღლის თავია აქ დამარხული. შენს ადგილას, კარგ ადვოკატს ავიყვანდი და ბოლომდე ვიბრძოლებდი. ორი წელი კი არა, ერთი დღეც რომ გითხრან, ის იარაღი შენს თავზე არ აიღო. ისე, რატომ არ თქვი, რომ გამომძიებელი ქალი იყო?!“, — კითხვით დაასრულა მონოლოგი №0578-მა.

„ეგ რომ მეთქვა, ატყდებოდა მერე საკანში, კარგი ძუძუ ჰქონდა, რა ფერის თვალები აქვს, ისაო, ესაო... არ იცი?! მე კი ჩემი გამჭირვებია, შორენა წიკლაური კი არა, მონიკა ბელუჩი რომ გააშიშვლო, ერთს არ შევხედავ. ხვალ ციხეზე გადავყავარ, სასამართლოები დაიწყება, გლდანის ციხიდან უნდა მატარონ“, — ჩუმად თქვა ილომ. მეორე დღეს მართლაც წაიყვანეს.

რუსთავის №17 ზონაზე ილო ორ კვირაში დააბრუნეს. ფეხის გადადგმა უჭირდა, ტკივილისგან სახე ემანჭებოდა, ამიტომ ან იჯდა, ან იწვა.

„11 წლის წინ, როცა დამიჭირეს, ფეხისგულებზე სვირინგი გავიკეთე, „პაგონები“ დავიხატე, მითხრეს, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ჩათვალე „პაგონებს“ აბიჯებო. ეს სვირინგი გლდანის ციხეში ნახეს და ფეხისგულებზე პლასტმასის მილები მირტყეს, კინაღამ გამაგიჟა ტკივილმა. იარაღი მაინც ავიღე ჩემს თავზე, სხვა გზა არ დამიტოვეს, ორი წელი დამიმატეს“, — სულ ეს იყო, რაც ილომ თქვა.

ერთი თვის თავზე ილიას ისევ დაუძახეს და უთხრეს, რომ იმ იარაღით თავის დროზე ორი პოლიციელია მოკლული ვარკეთილის მხარეს ზღვის მისადგომებთან. მაშინ კი მიხვდა, რა მახეც დაუგეს, მაგრამ ვერაფერს გახდა. სასამართლო მალევე შედგა. 27 წელი დაუმატეს. განაჩენის გამოცხადებას დარბაზში მხოლოდ მისი შეყვარებული დაესწრო, რომელმაც მოსამართლის საბოლოო სიტყვების შემდეგ გონება დაკარგა და გულწასული გაიყვანეს. ილო რუსთავის №17-ში აღარ დაუბრუნებიათ. მეექვსე დაწესებულებაში „გაკრიტეს“ და რამდენიმე თვეში ქვიტირის ფსიქიატრიულში გადაიყვანეს. ქვიტირიდან „რეზბალნიცაზე“ გადაყვანილ ილოს პატიმარი №0578 შემთხვევით შეხვდა. ბიჭს წონაში 20 კილო მაინც ჰქონდა დაკლებული და მართალია, ხანდახან აზრიანადაც ამბობდა თითო-ორ წინადადებას, მაგრამ შემდეგ თვალს შორს, სივრცეში გააშტერებდა და ბუტბუტს იწყებდა: **„გაათხოვეს... გაათხოვეს... ძალით გაათხოვეს“...**

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „სუბუტექსი“ ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, 1986 წელს დაბადებული, ანალოგიური დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გიორგი მ. სარფში, საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 7 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“, ხოლო მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ჩხრეკისას 93 აბი „სუბუტექსი“ და 46 აბის ნატეხი ამოიღეს, რაც ექსპერტიზის დასკვნით 1,003 გრ ბუპრენორფინს შეიცავს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, რაც 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

მოსკოვსა და თბილისს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლა აღდგა

„როსავიაციის“ ინფორმაციით, მოსკოვსა და თბილისს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლა აღდგა. როგორც უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პროტოკოლშია აღნიშნული, 15 სექტემბრიდან რიგ ავიაკომპანიებს საშუალება აქვთ, შეასრულონ მოსკოვიდან თბილისის მიმართულებით რეისები. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ნებართვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტის შესაბამისად გაიცა.

„ვედომოსტის“ ცნობით, რეგულარულ ფრენებზე ნებართვა მიიღეს ავიაკომპანიებმა „აეროფლოტი“, „ვიმ ავია“, „გლობუსი“, „ტრანსაერო“, „ურალის ავიახაზები“, „უტეარი“ და S7 .

რუსეთ-საქართველოს შორის რეგულარული ავიამიმოსვლა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ იყო შეჩერებული. 2010 წელს განახლდა არარეგულარული, ჩარტერული რეისები.

„ინტერპრესნიუსი“



საკვებად უვარგისი ფრინველის ხორცი გამოგზავნეს ქვეყანაში დაბრუნდება

საბაჟო პუნქტზე „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ უკრაინიდან შემოტანილ 20 000 კგ გაყინულ ქათმის ბარკალს ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები ჩაუტარდა.

პროცედურების შედეგად აღმოჩნდა, რომ დარღვეული იყო ტრანსპორტირების პირობები, კერძოდ, ტემპერატურული რეჟიმი. საქონლის ფიზიკური შემოწმების დროს ასევე არადამაკმაყოფილებელი იყო ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილების თანახმად, აღნიშნული საქონელი უკან გაბრუნებას ექვემდებარება.

„პირველი“

ექსკლუზიური ინტერვიუ ნოდარ ხადურთან

რას პასუხობს ოპონენტებს და რას უმხელს „ვერსიას“ ფინანსთა მინისტრი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ფინანსთა სამინისტრომ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პაკეტი მოამზადა, რომელიც პარლამენტში უკვე შევიდა. უახლოეს დღეებში, საკანონმდებლო ორგანოს შესაბამის კომიტეტებში კოდექსის განხილვა დაიწყება. ცვლილებების მთავარი მიზეზი ქვეყანაში უკეთესი ბიზნესგარემოს შექმნაა. ბიზნესმენებს უნდა ჰქონდეთ მოტივაცია, რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია განახორციელონ. ეკონომიკისა და ბიზნესწრეებში უკვე ატყდა აჟიოტაჟი იმ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლითაც ფინანსთა მინისტრსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ შემოსავლების სამსახურის უფროსს შესაძლებლობა ეძლევათ, ამა თუ იმ კომპანიის ფინანსური ანგარიშების შესახებ კომერციული ბანკებიდან ინფორმაცია მიიღონ. რა ტიპის ცვლილებები შედის საგადასახადო კოდექსში და რამდენად საფუძვლიანია ეკონომისტების აღშფოთება? ამ თემაზე „ვერსიას“ საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ექსკლუზიურად ესაუბრება.

— ბატონო ნოდარ, რატომ დადგა დღის წესრიგში საგადასახადო კოდექსის ცვლილება?

— უკვე ორი წელია ვამბობთ, რომ ერთადერთი ადამიანი, ვინც ქვეყანაში დოვლათსა და დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, ბიზნესმენია. შესაბამისად, მთავრობამ უნდა შექმნას შესაფერისი გარემო, რათა ბიზნესმა დაცულად იგრძნოს თავი და მოტივირებული იყოს, რომ სწორედ აქ, ამ ქვეყანაში განახორციელოს ინვესტიციები. მსოფლიოს მასშტაბით კონკურენციაა, რომელ ქვეყანას აირჩევენ ბიზნესმენები. ჩვენ ამ ბრძოლაში ისეთი ნაბიჯების გადადგმა გვიწევს, რომ საქართველო უფრო წარმატებული იყოს. გადაწყვეტილების მიღების დროს, კაბინეტში ჩაკეტილები არ ვართ. ძალიან კარგი კომუნიკაცია გვაქვს ბიზნესასოციაციებთან, ფედერაციასთან და ვიცით, რა სტკივა ბიზნესს. პარალელურად, ფინანსთა სამინისტროში მოქმედებს დავების განხილვის საბჭო, რომელსაც, გარდა იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ ქეისს იხილავს, ერთი კარგი ფუნქციაც აქვს — გააანალიზოს, რა ხდება ქვეყნის ეკონომიკაში და რატომაა ამდენი დავა. მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც ბიზნესგარემოზე ახდენს გავლენას, საგადასახადო სტრუქტურაა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მიმართულებით წინ ვართ, სამწუხაროდ, ეს შედეგზე არ აისახება და აქედან გამომდინარე, საგადასახადო კოდექსში ცვლილებები აუცილებელია, რათა უკეთესი საგადასახადო კანონმდებლობა და ადმინისტრირება გვქონდეს.

— კონკრეტულად რა ტიპის ცვლილებები მოამზადეთ?

— ვცდილობთ, საგადასახადო კოდექსში ცვლილებები ყოველდღიურად არ განვახორციელოთ. გასული წლებში ამის ძალიან ცუდი პრაქტიკა გვქონდა და ამავდროულად, არ გვინდა, ჩვენი გადაწყვეტილებები სპონტანური იყოს. ეს გადაწყვეტილებები ემსახურება ეკონომიკას და არა პოლიტიკურ პიარს და ამასთან დაკავშირებით, მარტივ მაგალითს მოგიყვანთ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები რომ დასრულდა, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პრეზენტაცია მხოლოდ მაშინ გავმართეთ და არა არჩევნებამდე, რადგან ცვლილებების პაკეტი მაშინ ჯერ კიდევ დაუსრულებელი იყო. საგადასახადო კოდექსი არ არის დოკუმენტი, რომელიც საარჩევნო ხმებზე უნდა ყოფილიყო გათვლილი. ეს მნიშვნელოვანი, ეკონომიკური დოკუმენტია. ბევრი ცვლილებაა, რაც წლების განმავლობაში დაგროვდა. მათ შორის, რედაქციული ხასიათისაც, რომლებზეც არ შევჩერდები. მათი მიზანი ის არის, საგადასახადო კოდექსში ბუნდოვანი მუხლები და კანონმდებლობის ორმაგი ინტერპრეტირების შესაძლებლობა აღარ არსებობდეს. მაქსიმალურად ვეცადეთ, დაგვეხვეწა და გაგვეშალაშინებინა კოდექსი, რათა ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო ბიზნესისთვისაც და საგადასახადოს თანამშრომლებისთვისაც.

მეორე ტიპის ცვლილებებით, ეკონომიკაში ახალი ტიპის რეგულაციები შემოგვაქვს, რაც ბიზნესისთვის სიახლეების შემოტანას ისახავს მიზნად. მაგალითისთვის, ორ მნიშვნელოვან ცვლილებას აგიხსნით, რასაც ბიზნესს ვთავაზობთ და ეს არის „შიდაგადამუშავებაში მოქცეული საქონლის გადამუშავების რეჟიმის გათავისუფლება დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (დღგ)“. შესაძლოა, ვიღაც დაიბნეს და ამიტომ დეტალურად განგიმარტავთ, რას ნიშნავს ეს ცვლილება: საქართველოს საგადასახადო სისტემა აგებულია პრინციპზე, რათა ექსპორტს ხელი შევუწყოთ. მართლაც, ექსპორტი არათუ გათავისუფლებულია გადასახადებისგან, ნულოვანი განაკვეთით იბეგრება, რაც გულისხმობს, რომ ამა თუ იმ საქონლის წარმოების პროცესში გადახდილი დღგ, მას შემდეგ, რაც ეს საქონელი დატოვებს ქვეყნის ტერიტორიას და გავა ექსპორტზე, მის მწარმოებელს პირობითად მასალებში, ნედლეულსა თუ ელექტროენერგიაში დაუბრუნდება. თუმცა ეს სიკეთე არ ეხებოდა ისეთ საქონელს, რომელიც გადამუშავების რეჟიმში შემოდიოდა და მომსახურება, რომელსაც ესა თუ ის კომპანია გაუწევდა უცხოეთიდან შემოტანილი ნედლეულის გადამუშავებასა და შემდეგ ექსპორტს, იბეგრებოდა. მაგალითად, რომელიმე ჩვენი მეზობელი ქვეყნიდან შემოდის პიჯაკის ღილი, ქსოვილი, შემდეგ აქ კერავენ და ექსპორტზე მზა პროდუქცია გააქვთ. თავად ღილი, ქსოვილი და ძაფი არ იბეგრება, მაგრამ მომსახურება, რაც მზა პროდუქციის შესაქმნელადაა საჭირო და რასაც საქართველოში ეწევიან, იბეგრებოდა. ფისკალურად, ქვეყნის ბიუჯეტისთვის ეს დიდი თანხა არ არის. სამაგიეროდ, ძალიან კარგი შესაძლებლობაა, უცხოეთიდან მოვიზიდოთ ამ ტიპის ნახევარფაბრიკატი, რომელიც საქართველოში დასრულებულ სახეს მიიღებს, ადამიანები დასაქმდებიან და გამზადებულ პროდუქციას ექსპორტზე გაიტანენ. განსაკუთრებით ისეთ უდიდეს ბაზარზე, სადაც ნახევარმილიარდიანი მოსახლეობაა, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 18 ტრილიონ ევროზე მეტია. ესაა ევროკავშირი, რომელთანაც საქართველომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. სწორედ ამ ხელშეკრულებას წავახმარეთ საგადასახადო კოდექსში ცვლილება, რამაც დამატებითი ინვესტიცია უნდა გამოიწვიოს ამ ტიპის დარგებში და ეს მხოლოდ მსუბუქ მრეწველობას არ ეხება.

— ამ ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ გაჩნდა ასეთი მოთხოვნა ევროკავშირიდან?

— ეს არც მოთხოვნაა და არც რეკომენდაცია, ეს ლოგიკაა. ჩვენ ლოგიკურად მივიღეთ გადაწყვეტილება, რადგან ეს შესაძლებლობა რომ გამოვიყენოთ, ევროკავშირთან მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმება საკმარისი არ არის — აუცილებელია ცვლილება საგადასახადო კოდექსში.

კიდევ ერთი, ზემოხსენებული ცვლილების ანალოგიური მნიშვნელოვანი ცვლილება, ტურისტული საწარმოს დაბეგვრის რეჟიმს ეხება. საქართველოს საკმაოდ საინტერესო ტურისტული პოტენციალი გააჩნია — ისტორიული, აგრარული, სამკურნალო, სპორტული ტურიზმი, გვაქვს საზღვაო და მთის კურორტები, მაგრამ ერთი პრობლემაა — საქართველოში საკმარისი რაოდენობის სასტუმრო არ არის. მარტივ მაგალითს გეტყვით, 2015 წლის მაისში, პირველად კავკასიაში, საქართველოში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის — „იბიარდის“ ყოველწლიური შეხვედრა ჩატარდება, სადაც 63 ქვეყნიდან, მაღალი დონის დელეგაციები ჩამოვლენ. როგორც წესი, ფინანსთა მინისტრები, რამდენიმე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ეროვნული ბანკების ხელმძღვანელები, დაახლოებით 2 000 ბიზნესმენი, მაგრამ თბილისში სასტუმროების პრობლემაა და ასეა მთელ საქართველოში.ჩვენმა მეწარმეებმა საინტერესო იდეა შემოგვთავაზეს, რაც სხვა ქვეყნებშიც კარგადაა აპრობირებული: დავუშვათ, ბიზნესმენი სასტუმროს ზღვისპირას აშენებს, ამის შემდეგ, საშუალო შემოსავლის მქონე მსურველებზე გაყიდის ნომრებს და მერე ისევ ქირაობს ამ ნომრებს. თქვენც შეგიძლიათ, ნებისმიერ სასტუმროში შეიძინოთ ნომერი, რომელსაც სეზონზე გამოიყენებთ, მაგრამ როდესაც შვებულება დაგიმთავრდებათ და თბილისში დაბრუნდებით, თქვენი ნომერი დაკეტილი რომ არ იყოს, შეგიძლიათ გააქირაოთ და აქედან შემოსავალი მიიღოთ. საგადასახადო ადმინისტრირების თვალსაზრისით, ძალიან რთულია, სასტუმროს ყველა ნომრის მესაკუთრეს სათითაოდ ვდიოთ, რადგან ზოგი თბილისშია, ზოგი — მოსკოვში და ზოგი — ნიუ-იორკში. ამიტომ გადავწყვიტეთ, მხოლოდ სასტუმროს მენეჯმენტთან, ანუ მასთან, ვინც უშუალოდ მართავს და ოპერირებას უწევს სასტუმროს, გვქონდეს საგადასახადო ურთიერთობა. ის გააქირავებს თქვენს საკუთრებაში არსებულ ნომერს, აიღებს შემოსავალს, ნაწილს თქვენ მოგცემთ, ნაწილს დაიტოვებს და ნაწილს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხავს. პროცესს ვამარტივებთ, რის საფუძველზეც მოტივაციას გავუჩენთ მეწარმეებს, რათა სასტუმროები ააშენონ. თუმცა ესაა მოტივაცია მათთვისაც, რომლებსაც საკმარისი შემოსავალი აქვთ, რათა სასტუმროებში ერთი ან ორი ნომერი შეიძინონ და შემოსავალი მიიღონ.

— კონკრეტულად როგორ ურთიერთობს სასტუმროს მფლობელი საგადასახადოსთან, ან რატომ აქვს დამატებითი მოტივაცია ბიზნესმენს, რომ საქართველოში სასტუმროები ააშენოს?

— ჩვეულებრივ, როდესაც საცხოვრებელ ბინას ყიდულობთ, დღგ-ს იხდით, რადგან ამ ბინის საბოლოო მომხმარებელი ხართ.

დასასრული მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

როცა სასტუმროს ნომრის შეძენას აპირებთ, საბოლოო მომხმარებელი არ ხართ. ეს თქვენთვისაც ინვესტიციაა, ამიტომ დღგ-ს გადახდა არ მოგიწევთ. უფრო ზუსტად, დღგ-ს გადახდა დროში გაიწელება, რადგან, თუკი ერთბაშად გადაიხდით, ამით პროდუქტი გაძვირდება. დავუშვათ, 20-სართულიანი სასტუმრო აშენდა, სადაც თითო სართულზე 10 ნომერია, ანუ ჯამში 200 ნომერი. რატომ უნდა გვქონდეს 200 სალარო აპარატი ამ სასტუმროში, ანუ 200-ვე მესაკუთრესთან ურთიერთობა რა საჭიროა? სასტუმროში იქნება ერთი, ან ორი სალარო აპარატი და ერთიანი აღრიცხვის სისტემა იმოქმედებს. სასტუმროს ბიზნესის განვითარებისთვის ეს სერიოზული ხელშეწყობაა, თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ცვლილება ძალიან მაღალი კლასის სასტუმროებს არ ეხება. ასეთი სასტუმროები საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანებზეა გათვლილი და შესაბამისად, ნომრის შეძენასაც ამ ტიპის სასტუმროში უფრო შეძლებენ, ვიდრე მაღალი კლასის სასტუმროში, სადაც ნომრები გაცილებით ძვირია.

საგადასახადო კოდექსის კიდევ ერთი ცვლილება, რაც მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის, სუსტი კაპიტალიზაციის მარეგულირებელი ნორმების გადავადებას ეხება. სუსტი კაპიტალიზაცია, კაპიტალსა და სესხებს შორის თანაფარდობას ნიშნავს. როგორც ჩანს, მოუმზადებლად შემოვიდა ეს ცვლილება, რადგან ბიზნესსაც და საგადასახადოს თანამშრომლებსაც ჰქონდათ გარკვეული კითხვები, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, უცხოელ ექსპერტებთან ერთად გავაგრძელოთ მუშაობა, დავხვეწოთ ეს რეგულაცია, მაგრამ ბიზნესს რომ პრობლემები არ შევუქმნათ, ამ ცვლილებას ორი წლით გადავავადებთ. უფრო კარგად რომ აგიხსნათ, მაგალითად, კომერციული ბანკებიდან სესხის აღებისას გარკვეული ქონებაა საჭირო და ეს ეხება, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებსაც, სახელმწიფოსაც აინტერესებს, რა რაოდენობის სესხს აიღებს მეწარმე და მერე ამ სესხით, საგადასახადო რისკების მანიპულირებას ხომ არ დაიწყებს. ადმინისტრირების თვალსაზრისით, პრობლემებია და მათგან თავის არიდებისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, 2 წლით, 2016 წლის 1 იანვრამდე გადავავადეთ ეს ცვლილება. მესამე ტიპის შესწორებები, რაც საგადასახადო კოდექსში შეგვაქვს, ადმინისტრირების გამარტივების კუთხით გადადგმული ნაბიჯებია. ფინანსთა მინისტრს ეძლევა უფლება, საჯარო გადაწყვეტილებები გამოსცეს. რეალურად, საგადასახადო შეთანხმებები არსებობს, რაც ძირითადად დავების საბჭოზე მიიღება, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკაა და ჩვენც ვნერგავთ, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა საჯარო გადაწყვეტილება გამოსცეს. თუ გარკვეული საკითხები დაგროვდება, რომლებიც ბიზნესმენებისთვის მაინც და მაინც გასაგები არ არის, ვერ ხვდებიან, როგორ უნდა გამოიყენონ ესა თუ ის მუხლი პრაქტიკაში, ფინანსთა მინისტრი გამოსცემს ინსტრუქციას, რომელიც დოკუმენტი იქნება, როგორც საგადასახადოს თანამშრომლებისთვის, ასევე ბიზნესმენებისთვისაც.

— ბატონო ნოდარ, ჯარიმების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, რა ტიპის ცვლილებები შეგაქვთ საგადასახადო კოდექსში?

— ხელისუფლებაში მოვედით თუ არა, მაშინვე დავიწყეთ ჯარიმების ლიბერალიზაცია და ეს სალარო აპარატებს ეხებოდა. მართლაც დრაკონული იყო მაშინდელი ჯარიმები, რადგან დავუშვათ, პენსიონერს, რომელსაც პატარა ჯიხური ჰქონდა და საგადასახადო დავალიანება დაუგროვდა, საგადასახადო ორგანოს საშუალებით, სახელმწიფო მის ანგარიშს აყადაღებდა. ყოველთვე აჭრიდა ანგარიშზე არსებულ თუ დარიცხულ პენსიას და ადამიანი საარსებო მინიმუმის გარეშე რჩებოდა. მოვედით თუ არა ხელისუფლებაში, პირველივე დღეებში გამოვიდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებულება, რომლითაც საარსებო მინიმუმი ანგარიშზე ყოველთვის უნდა დარჩეს და ადამიანს მისი გამოყენების უფლება ჰქონდეს. ახლა რამდენიმე მიმართულებით ჯარიმების ლიბერალიზაციასა და საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას ვაპირებთ. ეს არის 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანება. თუ 2005 წლის შემდეგ, 9-10 წლის განმავლობაში, საწარმო გაჩერებულია, საგდასახადო დავალიანება ჩამოეწერება. ექსკლუზიურად, „ვერსიის“ მკითხველებს გავუმხელ, რომ დღეს საქართველოში, საბჭოთა კოლმეურნეობებსაც კი აქვთ საგადასახადო დავალიანება. მთლიანობაში, სახელმწიფოს მიმართ, ბიზნესს 4 მილიარდი ლარის ვალი აქვს, მაგრამ ამ 4 მილიარდში, კოლმეურნეობებისა და ისეთი ორგანიზაციების ვალია, რომლებიც ბუნებაში აღარ არსებობს, ამიტომ ეს ბაზა აუცილებლად უნდა გასუფთავდეს. ცვლილება ეხება 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებულ და გადაუხდელ ჯარიმებს ფიზიკური პირებისთვის, რაც სალარო აპარატების გამოყენების წესის დარღვევისთვის დაეკისრათ და ესეც დიდი შეღავათი იქნება მათთვის. ეს ცვლილება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს საგადასახადო ადმინისტრირების მოშლას, პირიქით, ყველაფერს ვაკეთებთ და მომავალშიც გავაკეთებთ, რომ ადმინისტრირება უფრო სამართლიანი იყოს, რათა კუთვნილი გადასახადი ყველამ გადაიხადოს.

— ეკონომიკის ექსპერტი რომან გოცირიძე ამ ნაწილში არ გეთანხმებათ. მიაჩნია, რომ ამ ცვლილებით, ბიზნესის დიფერენცირებას უწყობთ ხელს და არათანაბარ პირობებში აყენებთ სხვა კომპანიებთან მიმართებაში.

— ბატონი რომანი ორჯერ ძალიან მაღალ თანამდებობას იკავებდა, საკმაოდ რთულ პერიოდში ვიცე-პრემიერი იყო, მოგვიანებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გახლდათ, თუმცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტობამდე, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე და საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი იყო. ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი იყო ეკონომიკის საკითხებში... რაც შეეხება ამ ცვლილებას, ვცდილობთ, ყოველი კონკრეტული საქმე ცალკე შევისწავლოთ, რადგან მართლაც არიან ბიზნესმენები, რომლებსაც წინა ხელისუფლება უსამართლოდ მოექცა. ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭო კარგად მუშაობს. მხოლოდ მიმდინარე წელს, 1 000 კონკრეტული საქმე განიხილა. გარდა ამისა, დავები განიხილა შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭომ და შემოსავლების სამსახურის დავების საბჭომაც. შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროში დავების განხილვის სამ-ეტაპიანი სისტემაა და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავენ სასამართლოს მეწარმეები. თითოეულ მასალას ვსწავლობთ და თუ რომელიმე ბიზნესმენი ან მეწარმე უსამართლოდ დაიჩაგრა, ვცდილობთ, პრობლემა აღმოვფხვრათ. შესაბამისად, არავის დაჩაგვრას ან არათანაბარ პირობებში ჩაყენებას არ ვაპირებთ. მოვედით თუ არა ხელისუფლებაში, საგადასახადო შემოწმების ხანდაზმულობის ვადის შემცირება დავიწყეთ და 6 წლის ნაცვლად, მომავალი წლიდან, ხანდაზმულობა 5 წელი იქნება, მერე 4 და ბოლოს 3 წელი. ანუ, იმის ნაცვლად, რომ საგადასახადო ორგანო 6 წლის განმავლობაში ამოწმებდეს კომპანიას, რამდენიმე წლის შემდეგ, მხოლოდ 3 წლის ვადაში შეამოწმებს. გარდა ამისა, საწარმოებს ან კომპანიებს, რომლებსაც დიდი საგადასახადო დავალიანება ჰქონდათ, ამ ცვლილებით, საშუალებას ვაძლევთ, სუფთა ფურცლიდან დაიწყონ საქმიანობა. ჩვენთვის მთავარია, ბიზნესმა იმუშაოს და ამისთვის რამდენიმე პირობა უნდა შეასრულოს, ერთ-ერთი პირობა ის არის, რომ სახელმწიფოსთან პირნათელი იყოს.

— აჟიოტაჟი მოჰყვა ცვლილებას, რაც კომერციული ბანკებიდან ამა თუ იმ საწარმოს ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ეხება. კონკრეტულად, რას ცვლით ამ მიმართულებით?

— შემოსავლების სამსახური ითხოვს, რომ როდესაც დასჭირდება და ბიზნესმენი არ აძლევს ინფორმაციას, რათა ზუსტად დაადგინოს მისი კომპანიის ბრუნვა, მივიდეს სასამართლოში და ეს უფლება, რაც ფინანსური ანგარიშების შემოწმებას ეხება, სასამართლომ მისცეს. მეტსაც გეტყვით, შემოსავლების სამსახურს ახლაც აქვს უფლება, სასამართლოს საშუალებით მოითხოვოს ამ ტიპის ინფორმაცია, სასამართლო ზოგჯერ ეთანხმება, ზოგჯერ — არა. ამ ცვლილებით ზუსტდება, რა შემთხვევაში შეიძლება მიმართოს სასამართლოს შემოსავლების სამსახურმა. ისე არ იქნება, რომ ერთ დღეს მოუნდა შემოსავლების სამსახურის უფროსს, ან ფინანსთა მინისტრს, გაიგოს ამა თუ იმ კომპანიის ბრუნვა. არა, ამ მოთხოვნასაც დასაბუთება დასჭირდება და ზუსტად ამას ვწერთ ამ კანონში, რა შემთხვევაში შეგვეძლება, მოვთხოვოთ სასამართლოს ამ ტიპის ინფორმაცია. გარდა ამისა, საქართველო ჩართულია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლახან ჩვენი კოლეგები დაბრუნდნენ საფრანგეთიდან, სადაც მადლობა გადაგვიხადეს იმისთვის, რომ საქართველოს სერიოზული პროგრესი აქვს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ოქტომბრის ბოლოს, ბერლინში, გერმანიის ფედერალურმა ფინანსთა მინისტრმა მიმიწვია სამუშაოდ, რაც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს ეხება. ანალოგიური ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული შეერთებულ შტატებთანაც, აშშ-ს შესაბამის სამსახურებს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ამერიკელი რეზიდენტების ქართულ ბანკებში არსებული ანგარიშების შესახებ ისე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაც კი არ გვჭირდება. ქართველ რეზიდენტს იმავე ბანკში აქვს ანგარიში, მაგრამ მივმართავთ სასამართლოს და ვასაბუთებთ, რომ ეს ინფორმაცია ნამდვილად გვჭირდება. რაც მთავარია, ამის შესახებ თვითონ გადამხდელმაც კარგად იცის, რადგან ამას ჩუმად არ ვაკეთებთ, მანამდე უშუალოდ ხომ მას ვთხოვეთ, წარმოედგინა ინფორმაცია საკუთარი ანგარიშების შესახებ, მაგრამ უარი გვითხრა. გარდა იმისა, რომ ფინანსთა სამინისტრო ფისკალური სტრუქტურაა, ის სამართალდამცავი უწყებაცაა, ჩვენი საგამოძიებო სამსახური გვაქვს და ცხადია, ამ ტიპის ინფორმაცია გვჭირდება. აქედან გამომდინარე, ამ ცვლილებაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ და არც ამ აჟიოტაჟის მესმის. პირიქით, შემოგვაქვს რეგულაცია, რომელიც საბანკო ინფორმაციის დაცულობას კიდევ უფრო განამტკიცებს და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და ისიც მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით გვექნება შესაძლებლობა, აღნიშნული ინფორმაცია მოვიპოვოთ. ცვლილებით ისიც გარანტირებულია, რომ შემოსავლების ან საგამოძიებო სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური და დაცული იქნება, რომელსაც მხოლოდ სამსახურეობრივი საჭიროებისთვის გამოიყენებენ და არა სხვა მიზნებისთვის.

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის დაფინანსება გაიზრდება

თბილისის მერის ინფორმაციით, სოციალურად დაუცველი ოჯახი ყოველ მესამე შვილზე 400-ის ნაცვლად 800-ს, მეოთხე შვილზე 1000-ს, ხოლო მეხუთე და მომდევნო შვილზე 1 500 ლარს მიიღებს.

„სამი მთავარი მიღწევა გვაქვს. პირველი: წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოსახლეობას ვპირდებოდით, რომ მრავალშვილიან ოჯახებზე გაიზრდებოდა მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა და ეს უკვე გავაკეთეთ. მესამე შვილის შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი ოჯახები 400-ის ნაცვლად 800-ს, მეოთხე შვილზე 800-ის ნაცვლად 1000-ს, ხოლო მეხუთე და მომდევნო შვილზე 1 000-ის ნაცვლად, 1 500 ლარს მიიღებენ. ეს არის ჩვენი წინასაარჩევნო დანაპირების შესრულება. დავიწყეთ რეალური ქმედებები, მიუხედავად ამ გაჭირვებაში ყოფნისა და იმ ბიუჯეტისა, რომელიც დაგვხვდა“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, რაიონული გამგეობებისთვის 8 მლნ ლარი გამოიყოფა, რათა სოციალური მომსახურების გაწევა შეძლონ: **„ჩვენ დამატებით 8 მლნ ლარი გავითვალისწინეთ და გადავანაწილეთ რაიონულ გამგეობებში. ასევე, ცენტრალურ ნაწილში სოციალური მომსახურების სამსახურები დაფინანსდება 2,5 მლნ ლარით. გავზარდეთ დაფინანსება, რადგან ამ სამსახურების მეშვეობით სხვა სახის სოციალური დახმარებები, რომელთაც კომისიური ფორმით ვიხილავთ და გავცემთ, გაიცეს. კომისიის შემადგენლობაც განახლდა და დავიწყეთ მუშაობა. აქედან გამომდინარე, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კუთხით პრობლემები არ გვექნება“.**

თბილისის მერიაში მთავრობის სხდომა მიმდინარეობს. სხდომაზე დღის წესრიგით 10 საკითხია გათვალისწინებული.

„პირველი“

სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში მსჯავრდებული გარდაცვლილი იპოვეს

წინასწარი მონაცემებით, პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლითაა დაწყებული.

როგორც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, გარდაცვლილის ცხედარი, რიგითი შემოვლის დროს, ორმა ინსპექტორმა აღმოაჩინა: **„16 სექტემბერს 08:15 საათზე სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ორმა ინსპექტორმა რიგითი შემოვლის დროს 1963 წელს დაბადებული მსჯავრდებული ზ.ს. გარდაცვლილი იპოვა. წინასწარი მონაცემებით, მსჯავრდებულმა საკანში თავი ჩამოიხრჩო.**

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით. გამოიძიებას პროკურატურის ზედამხედველობით აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტი. სიკვდილის მიზეზების დასადგენად უკვე დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და გარდაცვლილი გადასვენებულია სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს“.

„პირველი“

ქართველი მეცნიერის გამოგონება ბუნებრივი კატაკლიზმების წინააღმდეგ

თამაზ ნანიტაშვილი: „ამ პროექტს საქართველოსთვის რამდენიმე მილიარდი დოლარის მოტანა და მსოფლიოს გადარჩენა შეუძლია“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„ადამიანი, რომელიც შეძლებს ამინდის კორექციის პრობლემის გადაჭრას, ნობელის ორი პრემიის ღირსია“, — ეს ფრაზა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯონ კენედიმ 50-ზე მეტი წლის წინ თქვა. 50 წლის შემდეგ, ქართველი მეცნიერ-გამომგონებელი, საქართველოს ინტელექტუალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, მეცნიერ-გამომგონებელი, საქართველოს სახელმწიფო გერბის დეკანი, ასევე რამდენიმე მსოფლიო დონის გამოგონების ავტორი და პატენტმფლობელი თამაზ ნანიტაშვილი აცხადებს, რომ მისი გამოგონების (პროექტის) საშუალებით, მსოფლიო ბუნებრივ კატაკლიზმებს აირიდებს თავიდან. გახდება თუ არა ამ გამოგონებით ნობელის პრემიის ლაურეატი ნანიტაშვილი, დრო გვიჩვენებს, მანამდე კი, უნიკალური იდეის ავტორი „ვერსიას“ თავად უამბობს იმ პროექტის შესახებ, რომელსაც წლები შეალია და რომლის დამსახურებითაც, გამომგონებლის მტკიცებით, საქართველოს შემოსავალი რამდენიმე მილიარდი დოლარითაც გაიზრდება.

— ბატონო თამაზ, რატომ გადაწყვიტეთ, პროექტი მაინცდამაინც სტიქიური მოვლენებისთვის მიგეძღვნათ?

— იმიტომ, რომ ბუნებრივი კატაკლიზმები, გახშირდა როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში. დედამიწაზე გამოვლენილ სტიქიურ მოვლენათა სპექტრი მრავალფეროვანია. ბოლო პერიოდში, სტიქიური მოვლენების გააქტიურება, ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულია გლობალურ დათბობასა და უყაირათო ბუნებით სარგებლობასთან. თანამედროვე ტექნოლოგიების მიუხედავად, ადამიანი მათ შეჩერებას ვერ ახერხებს. სტიქიური მოვლენების შედეგად კაცობრიობისადმი მიყენებული ყოველწლიური მატერიალური ზარალი ასეულობით მილიარდი დოლარით განისაზღვრება, ხოლო ადამიანთა მსხვერპლი — ასეულ ათასობით.

ბუნებრივი და მათ შორის, სტიქიური მოვლენები დღევანდელობის ერთ-ერთი მკაცრი რეალობაა. ხშირად გვესმის ამა თუ იმ სტიქიური უბედურებების შესახებ მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან. რაღა შორს წავიდეთ, საქართველოში, ბოლო დროს, უჩვეულოდ შეიცვალა კლიმატი, გახშირდა წყალდიდობა, სეტყვა, ქარიშხალი, ზვავი, მეწყერი, გვალვა... ეს ყველაფერი უდიდეს ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას, ეკონომიკას და ასევე მძიმე ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს ადამიანებს. მსოფლიო გლობალური პრობლემების წინაშე დგას და სწორედ მის გადასაჭრელად ვთავაზობ მსოფლიო საზოგადოებას ჩემ გამოგონებას.

— იქნებ უფრო დეტალურად გვიამბოთ თქვენი უნიკალური პროექტის შესახებ.

— ჩემი გამოგონება (პროექტი), მართლაც უნიკალურია, რადგან მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. პროექტი ახლახან დავასრულე და მას რამდენიმე წლის ტიტანური შრომა მოვანდომე. ამ გამოგონებას შეუძლია აგვარიდოს ბუნებრივი კატაკლიზმების დიდი ნაწილი, ისეთები, როგორიცაა: გრიგალისებრი ქარი, ციკლონური ქსარიშხალი, ტორნადო, ტაიფუნი, ზვავი, მეწყერი, წყალდიდობა, ძლიერი წვიმა, სეტყვა, გვალვა, ხანძარი... ჩემი გამოგონება — „დედამიწის ატმოსფეროში დაბინძურებული სივრცის გაწმენდის ხერხი“, გულისხმობს იმას, რომ სპეციალური ორგანული გენერატორების გამოყენებით ხდება ატმოსფეროს სივრცეში არსებული დაბინძურებული აირების, უარყოფითი ენერგიის შეწოვა, მისი გარდაქმნა უსაფრთხო, სუფთა, დადებით ბიოენერგიად, შემდეგ კი მისი უკანვე, ატმოსფეროში დაბრუნება. პროცესი მიმდინარეობს მოწყობილობის დადგმის წუთიდან მუდმივად, რაც საშუალებას იძლევა სწრაფად, ყოველგვარი ზედმეტი მომსახურების გარეშე, აღვადგინოთ და ბუნებრივ ნორმებში დავიჭიროთ ატმოსფერული ბიოენერგიის ბალანსი, წინასწარ განსაზღვრული სივრცის ფარგლებში.

ორგანული გენერატორების სიმძლავრე განსაზღვრავს დედამიწის იმ ფართობს, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იქნება საჭირო, დაიცავს მას ყოველგვარი სტიქიური უბედურებისგან (აღადგენს ბუნებრივ ბალანსს დედამიწასა და ატმოსფეროს შორის). ამ მოწყობილობის გამოყენებით, დედამიწის ნებისმიერ წერტილში, 1 კმ^2-დან 15 000 კმ^2 დედამიწის ფართობის დაცვა იქნება შესაძლებელი.

— კონკრეტულად, საქართველოს შემთხვევაში, რამდენი ასეთი მოწყობილობა იქნება საჭირო, ბუნებრივი კატაკლიზმებისგან ქვეყნის მთელი ტერიტორიის დასაცავად?

— 5 კომპლექტი მოწყობილობით შეიძლება მთლიანად დავიცვათ საქართველოს ტერიტორია ყოველგვარი ბუნებრივი კატაკლიზმისგან. ამ გამოგონების დანერგვა და მისი რეალიზაცია ჩვენს ქვეყანას მისცემს დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობებს. საქართველოს შემოსავალი რამდენიმე მილიარდი დოლარით გაიზრდება, რაც განაპირობებს ჩვენი ეკონომიკის მკვეთრ აღმავლობას. ამას მოყვება სახელმწიფო ბიუჯეტის დაჩქარებული ზრდა, შეიქმნება ათასობით სამუშაო ადგილი, მოიხსნება სიღარიბის მწვავე პრობლემა, შეჩერდება მიგრაციული პროცესი, დაიწყება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს გამოგონება პარალელურად გახდება უდიდესი ფულადი რესურსის მოზიდვის საფუძველი. შედეგად, საქართველოში, გაჭირვებული ადამიანი აღარ იცხოვრებს. ქვეყანა ყველა ეკონომიკურ პრობლემას გადაჭრის. აღარ იქნება გაჭირვება და სიღარიბე, ქართველი ერი დაპურებული იქნება, ყველა ქართველის სახეზე დაბრუნდება ღიმილი, რომელიც ასე მოგვენატრა. ამ გამოგონების ჭკვიანურად რეალიზებას, ეკონომიკურის პარალელურად, პოლიტიკური ეფექტიც ექნება — იმ ფონზე, რომ მსოფლიოში, ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად, ყოველწლიურად 300 000 ადამიანი იღუპება, მატერიალური ზარალი კი, ასეულობით მილიარდს აღწევს, პროექტი მსოფლიო საკაცობრიო მნიშვნელობას იძენს. ეს ნამდვილად საშვილიშვილო საქმეა. საქართველო შეიძენს უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს და მსოფლიო პოლიტიკის სრულფასოვანი მოთამაშის სტატუსს! მისი საერთაშორისო ბაზარზე გატანა კი, ჩვენი ქვეყნისთვის იქნება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა.

— თქვენი აზრით, საქართველოში ან მის ფარგლებსგარეთ, თქვენი გამოგონებით დაინტერესდებიან?

— რა თქმა უნდა. მეტიც, ადვილი წარმოსადგენია, რამდენი მომხრე და მოწინააღმდეგე გამოუჩნდება ამ პროექტს ადგილობრივი თუ უცხოური კლანების სახით, მაგრამ ჩემი მიზანი მისი რომელიმე კონკრეტულ კლიენტზე, თუნდაც მილიონებად მიყიდვა არ გახლავთ. მინდა, ეს გამოგონება ქვეყნის მომავალს გონივრულად მოხმარდეს.

— თუ ასეა და, თუ თქვენ გამოგონებას ქვეყნისთვის ამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია, რატომ არ აუწყეთ ხელისუფლების წარმომადგენლებს მის შესახებ?

— სიმართლე გითხრათ, პირველ რიგში, მინდოდა, ხმა ბიძინა ივანიშვილისთვის მიმეწვდინა და იმედია, ამ უნიკალური გამოგონების შესახებ მეცენატი თქვენი გაზეთის საშუალებით შეიტყობს. ვფიქრობ, შეუძლია ამ გამოგონების სათანადოდ წარმოჩენა, მისი დაცვა და მსოფლიო მასშტაბით დანერგვა.

რუსეთში პოლიტიკური გადატრიალება გარდაუვალია!

როგორ შეეცდება კრემლი ნატო-სა და საქართველოს შორის მოლაპარაკების ჩაშლას

რუსუდან შელია
557-100-768

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელი მოწერილია, უელსის სამიტმაც საქართველოსთვის მეტ-ნაკლებად წარმატებით ჩაიარა, თუმცა რამდენად სწრაფად გაგრძელდება საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში იმ ფონზე, როცა უკრაინაში სამხედრო მოქმედებები გრძელდება და რუსეთი ევროპასთან კომპრომისზე არ მიდის, „ვერსიასთან“ ქვეყნის საგარეო პერსპექტივებზე ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე საუბრობს.

— მართალია, უელსის სამიტზე ამჯერადაც მაპ-ის გარეშე დაგვტოვეს, რისი ილუზიაც თავიდანვე არ არსებობდა, მაგრამ მნიშვნელოვანი განცხადებაც მოვისმინეთ — ნატო მზადაა, საქართველოში საწვრთნელი ბაზის მშენებლობა დაიწყოს, სადაც ნატო-ს სამხედროები ინსტრუქტორები და სპეციალისტები იმუშავებენ. ეს გადაწყვეტილება რუსული აგრესიის შემაკავებელი უნდა გახდეს. თუმცა მთავარ კითხვად რჩება — როდის დაიწყებს ნატო პროექტის განხორციელებას და რამდენად მასშტაბური იქნება ეს ბაზა? თუ ბაზის მშენებლობას საქართველოს ხელისუფლებამაც არ შეუწყო ხელი, შესაძლოა, დროში უსასრულოდ გაიწელოს.

— არსებობს რეალური წინაპირობა, რომ ნატო-სთან მიღწეული შეთანხმების შესრულება გაჭიანურდეს?

— პირადად მე, პროცესს დიდი ოპტიმიზმით არ ვუყურებ. უელსის სამიტზე ისიც გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე ნატო-ს გაფართობიესთვის არ სცალია და უსაფრთხოებაზე ზრუნვითაა დაკავებული. ამიტომაა აუცილებელი ნატო-ს ბაზის საქართველოში განთავსების პროცესის სწრაფად დაწყება.

— ფაქტია, ევროკავშირთან ასოცირებისა და ნატო-სთან მეტ-ნაკლებად მჭიდრო თანამშრომლობის პროცესის დაჩქარება უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ კიევს ნატო-ს სახელმწიფოები იარაღით დაეხმარებიან. საქართველო ისევ მომგებიან პოზიციაში არ აღმოჩნდება?

— საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და ნატო-ს სამიტზე გაჟღერებული მხარდაჭერა მართლაც უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა დააჩქარა, თუმცა ამის შემდეგ, ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი ვერ დაჩქარდება, რადგან გერმანიის პოზიცია ჯერ უცვლელია. სამაგიეროდ, ქართულ-ამერიკული თანამშრომლობის გაღრმავებაა შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში, ნატო-ს თანხმობა საჭირო არაა. რა თქმა უნდა, რუსეთი შეეცდება, ნატო-სა და საქართველოს შორის არსებული მოლაპარაკება ჩაშალოს. ამისთვის მის მიმართ ლოიალურად განწყობილ სახელმწიფოებს, პირველ რიგში კი, გერმანიას გამოიყენებს.

— გამოდის, დასავლეთის პრობლემა თავად ევროპაშია, სადაც სახელმწიფოები რუსეთის წინააღმდეგ ერთ აზრზე ვერ ჩამოყალიბდნენ. უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების მიუხედავად, საფრანგეთმა რუსეთს დაპირებული „მისტრალიც“ გადასცა. რატომ?

— ჩანს, რუსეთმა ბოლო 10-12 წლის განმავლობაში ევროპასთან ფანტასტიკურად იმუშავა. ევროპას რუსეთის წინააღმდეგ მეტი სანქცია რომ გაეტარებინა, პუტინი შედარებით ფრთხილად იმოქმედებდა, მაგრამ არსებული სანქციები მას უკრაინისთვის ძირის გამოთხრად ულირს. მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში სანქციები მაინც დააზარალებს, რუსეთი ცდილობს, უკრაინას რაც შეიძლება მეტი მიწა წაართვას და სახელმწიფოში დესტაბილიზაცია შექმნას, რათა მაქსიმალურად დაასუსტოს. სავარაუდოდ, პუტინი ევროპასთან სანქციების მოხსნაზე ამის შემდეგ იმუშავებს.

— და ამ შემთხვევაშიც შეძლებს პუტინი გამარჯვებას?

— ჯერჯერობით, პუტინი მიზანს აღწევს, მაგრამ რუსეთის პოლიტიკური სისტემა იმდენად არასრულყოფილია, ოდესღაც ციხე შიგნიდან ჩამოინგრევა. წარმოუდგენელია, უზარმაზარი სახელმწიფოს პოლიტიკური ჯაჭვი ერთი ადამიანის ნება-სურვილზე იდგეს. ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება. თანაც წლების განმავლობაში ხელისუფლებაში ყოფნა და ერთპიროვნული მმართველობა საბოლოოდ, ნებისმიერ ადამიანს აჩლუნგებს.

— თუ ევროპა პუტინის დაჩლუნგების იმედადაა, რუსული აგრესიის შემთხვევაში, საქართველო საკუთარი ძალების იმედად რჩება?

— ვერ გეტყვით, ვინ რის იმედადაა, მაგრამ რუსეთში პოლიტიკური გადატრიალება გარდაუვალია. ვაცადოთ, მალე ყირიმის შემოერთებით გამოწვეული ეიფორიაც გაივლის და მოსახლეობაც ელემენტარულ სიმძიმეებს იგრძნობს. საქართველო კი, ისედაც დიდი ხანია დაუცველია. ახლა მხოლოდ სუსტ წინაპირობას ვემყარებით — რუსეთს არ უნდა დასჭირდეს ჩვენი გასრესა, რადგან დისკომფორტს არ ვუქმნით. ჩანს, ქვეყნის პოლიტიკაც აქეთკენაა მიმართული.

— ასეთი პოლიტიკა ხომ არ გახდა ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაციის საკმაოდ მკაცრი განცხადების მიზეზი?

— ვფიქრობ, მსგავსი განცხადება განმეორდება, თუმცა ამჯერად უფრო მკაცრი ტონით. თუ ესეც ვერ გაჭრის, საქართველოს მიმართ ამერიკის პოლიტიკა გამკაცრდება. როგორც ჩანს, ღია განცხადების გამოქვეყნებამდე, ორ მხარეს შორის გარკვეული თხოვნები არსებობდა, თუმცა, როცა ისინი არ შესრულდა, ამერიკის სახლმწიფო ადმინისტრაციამ მკაცრ ზომებს მიმართა. დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ მთავრობას ამერიკაში გარკვეული საკითხების მოგვარება სთხოვეს. თუმცა საქართველოს მმართველმა გუნდმა, პირველ რიგში სააკაშვილის წინააღმდეგ დევნის დაწყების შეწყვეტის თხოვნა არ გაითვალისწინა. ამერიკაში კარგად ესმით, რომ ყოფილი პრეზიდენტების დევნა ქვეყნის განვითარებისთვის მავნებელია.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		7	2				3	
6					9			7
3			5		4			9
			9			6		
		1		5		4		
		9			1			
4			3		5			6
8			4					1
	1				7	3		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

					4	6	3	
		4	3					
			6	9	8			7
5		3	2				9	
9		7	4		3	5		8
	2				5	3		6
2			5	4	9			
					7	2		
	4	5	8					

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	6					2		
	2				4			5
			3			8		
				6	3		2	
2		8				7		3
	3		5	8				
		2			8			
3			4				8	
		7					5	4

ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ

			3			7	5	
6	8	7						
	3				6			8
7	1				5			
		3		1		8		
			4				9	7
2			5				3	
						9	8	1
	6	1			3			

ბლოკნოტი აკრძალულია

დღიურებისა და ბლოკნოტების მწარმოებელმა ფირმამ „მაგნუს ფერეუსმა“ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ახალი უჩვეულო პროდუქცია — ხახვის ბლოკნოტი დაამზადა. პროდუქტი სახელს ამართლებს და მფლობელს ყოველ ჯერზე აატირებს, როცა რამის ჩაწერას მოინდომებს. საბედნიეროდ, მწარმოებლები ხახვის მხოლოდ ცრემლმდენი თვისებით შემოიფარგლნენ და საკუთარ ნახელავს სურნელიც არ დაამატეს. ბლოკნოტის ფურცლები გაჟღენთილია ეთილპროპილენის ნაერთებით, რომელსაც ხახვის ზეთი შეიცავს და ამ ბოსტნეულის გამოყენებისას ადამიანის ატირების მიზეზი ხდება. ბლოკნოტის ზემოქმედება რომ იგრძნოთ, სულაც არ არის აუცილებელი ფურცლების ჭმუჭნა, ცრემლმდენი ზეთი იმ სითბოს ზემოქმედებით გამოიყოფა, რასაც ფურცელზე პასტის წასმა იწვევს. კომპანიის გენერალური დირექტორის თქმით, ადამიანები დიდ დროს უთმობენ ბლოკნოტში ჩანაწერების კეთებას, მაგრამ ამ ჩანაწერებში იშვიათად დებენ ემოციას. ამ ახალი პროდუქტით კი კომპანია ამის გამოსწორებას შეეცდება და წერის პროცესში ცოტა დრამატიზმს შეიტანს. პირველი ქვეყანა, სადაც ბლოკნოტის გაყიდვა დაიწყება, იაპონია იქნება.

ჩინეთში ასანთი აუკრძალეს

ჩინეთის ერთ-ერთ ქალაქში, ტერორისტულ საქმიანობასთან ბრძოლის ფარგლებში, ასანთის გაყიდვა აკრძალეს. ქალაქის ხელმძღვანელობამ ოფიციალური ბრძანება გამოსცა ასანთის მთელი მარაგის ამოღების თაობაზე, რათა „ტერორისტულმა დაჯგუფებებმა ან ექსტრემისტებმა დანაშაულებრივი მიზნებისთვის არ გამოიყენონ“. მეწარმეებს, რომელთაც ეს მითითება არ შეასრულეს, 20 ათას ყუთზე მეტი ასანთი ჩამოართვეს და დაუწვეს. ქალაქის ხელისუფლებას არ დაუკონკრეტებია, როგორ შეიძლება ასანთის ტერორისტული მიზნებისთვის გამოყენება, ალბათ, დეტონატორებისთვის? ბრძოლის ასეთი არაორდინარული მეთოდების გამოყენება ტერაქტების სერიებმა გამოიწვია, რომელიც ბოლო დროს ჩინეთში მოხდა, მათ შორის ყველაზე მასშტაბური მაისში ურუმჩიში იყო, რომლის დროსაც 40 ადამიანი დაიღუპა და 90 დაშავდა.

„ბიჭ-ყირაფს“ კისერს მოაჭრიან

იაპონელი ბიჭი იშვიათი ანომალიით დაიბადა — მას ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებით, გაცილებით მაღალი კისერი აქვს. ბავშვის მშობლებმა შვილის პათოლოგია მაშინ შეამჩნიეს, როცა 6 წლის გახდა. ექიმმა დედ-მამას განუცხადა, რომ ბიჭს თანდაყოლილი დეფექტი ჰქონდა, რომელიც ჯერ კიდევ მუცლადყოფნის დროს განუვითარდა. ბოლო დროს ბავშვს კისერი ისე გაეზარდა, თანატოლებთან კონტაქტს ერიდებოდა, რადგან გამუდმებით დაცინვის ობიექტი ხდებოდა. როგორც კი ქუჩაში გავდივართ, მაშინვე ყურადღების ცენტრში ვექცევით. ბიჭი უკვე 15 წლისაა და ძალიან ემოციურად ხვდება მის მიმართ გამოჩენილ ინტერესს, — აცხადებს მოზარდის დედა. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ბიჭის დასახმარებლად ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ თანხა გამოყო და მალე მას ოპერაციას გაუკეთებენ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	6	8	5	9	4	3	2	1
5	4	3	2	1	8	9	7	6
2	1	9	7	6	3	8	5	4
4	9	5	6	3	7	2	1	8
1	8	7	4	2	5	6	9	3
6	3	2	1	8	9	7	4	5
3	5	6	9	4	2	1	8	7
9	7	1	8	5	6	4	3	2
8	2	4	3	7	1	5	6	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	3	2	7	4	6	5	1	9
1	9	7	5	8	3	6	4	2
6	4	5	2	1	9	8	3	7
9	5	8	4	7	2	3	6	1
4	2	6	8	3	1	9	7	5
7	1	3	9	6	5	4	2	8
5	8	4	3	2	7	1	9	6
3	7	1	6	9	8	2	5	4
2	6	9	1	5	4	7	8	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	2	7	1	8	6	5	4	3
6	3	1	7	5	4	2	9	8
5	4	8	9	3	2	1	7	6
4	1	9	6	7	8	3	5	2
3	5	2	4	1	9	8	6	7
7	8	6	5	2	3	4	1	9
2	9	5	8	6	1	7	3	4
8	7	4	3	9	5	6	2	1
1	6	3	2	4	7	9	8	5

ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ

2	4	3	1	8	6	9	7	5
6	1	9	7	5	3	2	4	8
5	8	7	2	9	4	1	6	3
4	9	2	6	1	8	5	3	7
3	7	8	5	4	2	6	1	9
1	6	5	3	7	9	4	8	2
8	5	6	4	2	7	3	9	1
9	3	1	8	6	5	7	2	4
7	2	4	9	3	1	8	5	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	9	3	5	2	8	7	4	1
2	7	1	4	9	3	6	8	5
5	8	4	1	7	6	3	2	9
4	3	9	8	1	5	2	6	7
1	6	2	7	3	4	5	9	8
8	5	7	2	6	9	1	3	4
7	4	8	3	5	2	9	1	6
3	1	6	9	8	7	4	5	2
9	2	5	6	4	1	8	7	3

ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ

8	2	9	7	6	1	5	4	3
3	7	5	2	9	4	8	1	6
1	6	4	3	5	8	2	9	7
7	5	3	1	4	9	6	2	8
6	1	2	8	3	7	9	5	4
4	9	8	6	2	5	3	7	1
5	8	1	9	7	6	4	3	2
2	4	7	5	8	3	1	6	9
9	3	6	4	1	2	7	8	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	8	9	6	2	7	4	5	3
7	2	5	4	3	1	9	8	6
6	4	3	5	9	8	2	1	7
4	3	2	1	8	9	7	6	5
5	1	8	7	6	4	3	2	9
9	7	6	3	5	2	1	4	8
3	9	4	8	1	6	5	7	2
2	6	1	9	7	5	8	3	4
8	5	7	2	4	3	6	9	1

ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ

4	5	6	2	9	7	1	3	8
9	3	2	6	1	8	5	7	4
8	1	7	5	4	3	2	6	9
3	4	9	1	8	6	7	2	5
6	8	5	4	7	2	9	1	3
2	7	1	9	3	5	8	4	6
7	9	8	3	2	4	6	5	1
5	2	4	8	6	1	3	9	7
1	6	3	7	5	9	4	8	2

მე-10 გვერდი: 1. შლიმანი; 2. ლეკალო; 3. მოპასანი; 4. ნენია; 5. ჰარპუნი; 6. ავრალი; 7. პეკინესი; 8. ნალი; 9. სკაპენი; 10. ათასწლეული; 11. როუენ; 12. ქაობა; 13. დრაკულა; 14. ელევატორი; 15. წველადობა; 16. არაბიკა; 17. წნელი; 18. ქარსალა; 19. ბრა; 20. ქოთაო; 21. ესე; 22. რაველი; 23. აგუნა; 24. ნოკია; 25. „აეკი“; 26. მექა; 27. მუსიე; 28. ნიასა; 29. კოპიტი; 30. არპეჯო; 31. ერესი; 32. ბოლივარი; 33. აგა; 34. სინი; 35. კუპაჟი; 36. საპორო; 37. ბოა; 38. კოლი; 39. ამინ; 40. ჟან; 41. ისარი; 42. კადეტი; 43. სირი; 44. რუჯი; 45. აის; 46. აბერაცია; 47. ბიურგერი; 48. აბა; 49. რეა; 50. რიალი; 51. ნიცა; 52. აპი; 53. ვიზა; 54. ბემბი; 55. არი; 56. არისა; 57. ელ; 58. ონისე; 59. ყბა. 60. აბასი.

მე-12 გვერდი: 1. დევალვაცია; 2. ზიგოტა; 3. დურდო; 4. ვიგვამი; 5. ლაიკა; 6. ზინგშპილი; 7. გაბორონე; 8. ტაბუ; 9. არაგვი; 10. ლერწამი; 11. ნუკერი; 12. ნაბობი; 13. ილიონი; 14. იპრიტი; 15. პალო; 16. ემუ; 17. ანალოე; 18. შური; 19. ინდი; 20. პარიკი; 21. წამი; 22. ირაკლიონი; 23. ეოსი; 24. ადრიანა; 25. ანდრეა პირლო; 26. ოინი; 27. დიოსკურია; 28. მის; 29. ნომი; 30. ტვიდი; 31. სკოპიე; 32. ირი; 33. დუმა; 34. სოლი; 35. დარისპანი; 36. მორდუ; 37. ხვალ; 38. კიი; 39. სკრა; 40. კუსტო; 41. ლომე; 42. როკი; 43. აკურა; 44. კურია; 45. აურა; 46. რონია; 47. იუმორი; 48. აკიმი; 49. მერილინ; 50. რუკა; 51. კვინტა; 52. ანოსმია; 53. არსიანი; 54. პრასი; 55. მობი; 56. ტირანა; 57. რუი; 58. კუპე; 59. რიუნოსკე; 60. ბურვაკი; 61. მაკლაი; 62. კუპრი; 63. ბალუ; 64. ფია; 65. ნადი; 66. ტიკრიტი; 67. ურნა; 68. კეცი; 69. ჰალიკარნასი; 70. ნასა; 71. იანი; 72. სულა; 73. აარე; 74. იურე; 75. ჰაიკუ; 76. პონი; 77. ცინდალი; 78. ბო; 79. სიათა; 80. ულისე; 81. ალია; 82. ირი; 83. საბანტუი; 84. სნო; 85. კონკა.



1. მარგარიტა გოტიეს ყვავილი
2. „ტოიოტას“ მოდელი
3. ნავთობიდან მიღებული პროდუქტი
4. ზღვის ათფეხა ჯავშნიანი კიბო
5. გამოუწვავი აგური
6. ნასუქი ღორი ან ცხვარი
7. სახალხო დამცველი
8. უუფლებო ადამიანი
9.თონეში გამომცხვარი ტკბილი პური
10.მკვრივი წყალგაუვალი ქსოვილი
11. თოვლის ჯიქი
12. იესოს ნათლია
13.მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
14. ძვირფასმერქნიანი ხე
15. სოფელი გულრიფშის რაიონში
16. ნიმფა კალიფსოს კუნძული
17. ბგერის ანარეკლი
18. ყველაზე მსუბუქი მეტალი
19. სახოტბო ლექსი
20. იუპიტერის მეუღლე
21. კვამლიანი ნისლი
22. ინდური კობრა
23.თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი
24. სპარსეთის დიდი მეფე
25. ყველის შესადედებელი
26. ყალმუხეთის დედაქალაქი
27. ვესპუჩის სახელი
28. მექანიკური მუშაობის ერთეული
29.მუქი ლურჯი ფერის საღებავი
30. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
31. სახელმწიფო ჯილდო
32მთვარის ორბ. უახლ. წერტ. დედამიწასთან
33. ბედი, ბედისწერა
34.ფეხბურთელის ფეხსაცმელი
35.ელჩზე მცირე რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი
36. სოფელი ონის რაიონში
37.შეჯიბრი ავტომობილებით რბოლაში
38. „უჩინარი“ პერს. „ცისფერ მთებში“
39. მდინარე ფლორენციაში
40.გადაბრუნებული ბერძნული ასო დელტა
41. ტბა თბილისთან
42. ქართული ფოლკჯგუფი
43. ბალკანეთის ნახევარკუნძულის უმაღლეს მთათა მასივი
44. სხეულის კანის საფარველის პერიოდული ცვლა ცხოველებში
45. გერმანელი ფიზიკოსი
46.იტალ. მწერალი უმბერტო ...
47. შხამიანი გომბეშო
48. ზევსის დედა
49. ნაყინშერეული რძიანი ყავა
50. მსახიობი ... პაჩინო
51.ლეონარდო და ვინჩის მასწავლ.
52. არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს დამსგავსებული რამე
53. გაზაფხულის ყვავილი
54. სანტიმეტრის შემოკლებ. აღნიშვნა
55. ალადინის სანათი
56. პატარა ბუტერბროდი
57.ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
58. შინაური ცხოველი
59. მდიდრული აგარაკი
60.მსატვარ ტინტორეტოს ნამდ. გვარი
61. სასახლე ძველ ქართულში
62. ორსული საქონელი

ყველაზე მაღალ სახლში ფეხით ადიან

ფული ყოველთვის ვერ აგვარებს საყოფაცხოვრებო პრობლემებს. სწორედ ასე დაემართათ დუბაიში, ელიტური კომპლექსის Princess Tower მცხოვრებლებს. უკვე რამდენიმე დღეა, მათ ცათამბჯენში ლიფტი არ მუშაობს, თანაც ყველა ერთად გაფუჭდა. მდიდრული აპარტამენტების პატრონები იძულებულნი არიან, ყოველდღე ათობით სართული ფეხით აიარონ. ყველაზე უარეს დღეში კი ისინი აღმოჩნდნენ, ვისაც ბინა ზედასართულზე აქვს. სახლი სულ 107-სართულიანია. ორი დღის წინ მცხოვრებლებს, როგორც იქნა, სატვირთო ლიფტი შეუკეთეს, მაგრამ ის მხოლოდ 50-ე სართულამდე ადის. სხვა ლიფტების ასამუშავებლად კი ინჟინრები ფინეთიდან ელოდებიან იშვიათ სათადარიგო ნაწილებს, თუმცა ზოგიერთმა გამოსავალი მაინც მონახა — მათ გადაწყვიტეს, საკუთარი კომფორტი ყველაფერზე წინ დააყენონ და, ვიდრე მათ სახლში ლიფტს შეაკეთებენ, სასტუმროში იქირავეს ნომრები. მშენებლებმა შარშან Princess Tower ჩააბარეს. კორპუსში თითქმის 800 ბინაა და ყოველი მათგანის ფასი რამდენიმე მილიონი დოლარია.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

თმა და თქვენი ჯანმრთელობა

სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ თმასთან დაკავშირებულ პრობლემებს აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება. ეს შესაძლოა, პირველი სიგნალი იყოს, რომ თქვენს ორგანიზმში რაღაც წესრიგში არ არის. მაგალითად, მშრალი და მტვრევადი თმა შესაძლოა, ცილების, „ა“-ვიტამინის, თუთიის, შეუცვლელი ცხიმმჟავების დეფიციტის მაჩვენებელი იყოს და ასევე შეიძლება ფარისებრი ჯირკვლის პრობლემებზე მიანიშნებდეს. ცხიმიანი თმა ორგანიზმში თუთიის, ფოლიუმის მჟავასა და „ბე 6“ ვიტამინის უკმარისობის მაჩვენებელია. მკვრივი თმა ცილებისა და „ა“ ვიტამინის ნაკლებობის, ასევე შესაძლოა ჰიპოთირეოზის მანიშნებელია. დაყოფილი ბოლოები კი, სავარაუდოდ, ანემიის, რკინის ნაკლებობის, მაგნიუმის, თუთიისა და „ბე 6“ ვიტამინის უკმარისობის მაჩვენებელია. ადრეულ გაჭაღარავებას გადატანილ სტრესს, ჰორმონებთან დაკავშირებულ პრობლემებს, „ბე“ ჯგუფის ვიტამინების, სპილენძისა და ფოლიუმის მჟავის ნაკლებობას უკავშირებენ. თავის მხრივ, ქერტლს, სებორეასა და ფსორიაზს კი სოკოვან ინფექციებს, სტრესს ან „ბე“ ჯგუფის, თუთიისა და უცვლელი ცხიმმჟავების ნაკლებობას აბრალებენ.

წყალი განწყობას აგიმაღლებთ

შესაძლოა, უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ თქვენი ფიზიკური მდგომარეობა და ფსიქოემოციური ფონი იმაზეა დამოკიდებული, რა რაოდენობის წყალი დალიეთ დღეში. ეს საინტერესო კანონზომიერება კონექტიკუტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს. სწავლულთა ჯგუფმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა, რომლის დროსაც მოხალისეები ერთი თვის განმავლობაში ნახევარსაათიან გარბენს ასრულებდნენ, რის შემდეგაც ყოველი მათგანი სპეციალურ ტესტს აბარებდა მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამოსავლენად. აღმოჩნდა, რომ ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, მამაკაცები უფრო აფორიაქებულნი და გაღიზიანებულნი ხდებოდნენ, მანდილოსნები კი თავისტკივილსა და გუნება-განწყობის გაუარესებას უჩიოდნენ. სწავლულებმა შედეგების მიხედვით დაასკვნეს, რომ ორგანიზმის მიერ წყლის დაკარგვა ძლიერ დარტყმას აყენებს განწყობასაც და საერთო ფიზიკურ მდგომარეობასაც. რისკჯგუფში იმ პროფესიის ადამიანები შედიან, ვისი სამუშაოც გამუდმებით კომპიუტერთან ჯდომას უკავშირდება. კარგი გაწყობის შენარჩუნებისთვის სპეციალისტები გვირჩევენ, დღეში არანაკლებ 8 ჭიქა წყალი დავლიოთ.

სუდოკუ

ადვილი

	3			9		6		
			5				3	
7			3				8	9
	5		8				2	
	2	6		7		9	1	
	1				9		7	
3	9				8			1
	8				5			
		1		3			9	

სტანდარტი

				1				
5		3	9					
2	7	6		4				
8			2				1	
1	4			9			3	5
	3				5			6
				2		6	8	3
					8	4		1
				6				

რთული

8	3				2			5
						3		
		2	6				9	7
	2			5	4			
		1				7		
			9	6			8	
5	1				6	9		
		4						
2			5				7	4

ექსპერტი

			3			7	5	
6	8	7						
	3				6			8
7	1				5			
		3		1		8		
			4				9	7
2			5				3	
						9	8	1
	6	1			3			

სრული სიბნელე კიბოს წინააღმდეგ

ღამით სრული სიბნელე, ნებისმიერი სახის განათების, მათ შორის ღამის სანათურებისა და მონიტორების ეკრანების შუქის არარსებობა სარძევე ჯირკვლების კიბოს მკურნალობას უწყობს ხელს. აღმოჩნდა, რომ მელატონინი, რომელიც ღამის შუქის ზემოქმედებით პაციენტის ორგანიზმში გამომუშავდება, აფერხებს იმ პრეპარატების ზემოქმედების ეფექტურობას, რომელსაც სიმსივნის მკურნალობისას იყენებენ. ასეთ დასკვნებამდე ტიულეინის უნივერსიტეტის სწავლულები მივიდნენ. ეს მონაცემები ლაბორატორიულ მღრღნელებზე ჩატარებული გამოკვლევებით მიიღეს, რომლებიც მკერდის კიბოთი დააავადეს. ექსპერიმენტის დასაწყისში მათ 12 საათს დღისით სრულ სიბნელეში ამყოფებდნენ, ღამით 12 საათს კი — ანთებულ შუქში. მეორე ეტაპზე დღისით სინათლეში იყვნენ, ღამით კი — სრულ სიბნელეში. აღმოჩნდა, რომ ღამის შუქი იწვევს სიმსივნის მკვეთრ ზრდას, ე.წ. ღამის მელატონინის გამომუშავების გამო, პრეპარატი ტამოკსიფენი კი, პრაქტიკულად, წყვეტს მუშაობას. არადა, დღის მელატონინი მკურნალობაზე არ ახდენდა გავლენას. მეცნიერთა განცხადებით, ღამით მელატონინის მაღალი დონე ხელს უწყობს სარძევე ჯირკვლების სიმსივნის ახალი უჯრედების წარმოქმნას. იმისთვის, რომ ავთვისებიანი წარმონაქმნების ზრდის ტემპი შემცირდეს, პაციენტი ღამით სრულ სიბნელეში უნდა იმყოფებოდეს.

ზედმეტ კილოგრამებს ბაქტერიები მოგაშორებთ

სწავლულები კვლავ ეძებენ პრებიოტიკს, რომელიც ზედმეტი კილოგრამების ლიკვიდაციაში დაეხმარება. მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ ჭარბი წონის მოშორებაში ადამიანს ის ბაქტერიები დაეხმარება, რომლებიც ისედაც არსებობს ორგანიზმში. ვანდერბილდტის უნივერსიტეტის სპეციალისტები კუჭში მდებარე ბაქტერიების რაოდენობის რეგულირებას გვთავაზობენ. კვლევა ლაბორატორიულ თაგვებზე მიმდინარეობდა. აღმოჩნდა, რომ ცხოველების ორგანიზმში სპეციალური ბაქტერიები ცხოვრობს, რომლებიც აფერხებს წონის მატებას, ამცირებენ ინსულინრეზისტენტულობას და სხვა უსიამოვნო ეფექტებს, რაც ორგანიზმში ცხიმის დაგროვებას იწვევს. ახლა სწავლულებმა უნდა გადაწყვიტონ ნორმატიული საკითხები, რათა ზედმეტი წონის მოცილების მკურნალობის ახალი მეთოდი ადამიანებზე გამოსცადონ. საამისოდ სპეციალურ საშუალებებზე მუშაობენ, რომელიც პრებიოტიკური ბაქტერიების შემცველი იქნება და რომელთა რაოდენობით მანიპულაციაც კუჭში ზედმეტი კილოგრამების ლიკვიდაციას შეუწყობს ხელს.

„ოქროს" ლიპოსაქცია გახდომის მსურველთათვის

ლიპოსაქციის პრინციპულად ახალი მეთოდიკა შეიმუშავეს კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა — მას ოქროს ნანონაწილაკების გამოყენებით ატარებენ და ამ პროცედურას NanoLipo უწოდეს. უფრო ადრე მედიკოსებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის დროსაც ოქროს ნანონაწილაკებს სიმსივნის შიგნით ათავსებდნენ, შემდეგ კი ინფრაწითელი გამოსხივებით აცხელებდნენ. შედეგად კიბოს უჯრედები ეფექტურად იშლებოდა, ჯანმრთელი კი უვნებელი რჩებოდა. ახლა, მსგავს პროცედურას სწავლულები ცხიმოვან ქსოვილთან დაკავშირებითაც გვთავაზობენ. ახალი მეთოდიკით, ნანონაწილაკები შეჰყავთ ცხიმდაგროვების ზონაში, შემდეგ კი პაციენტის სხეულის ეს ნაწილი ინფრაწითელი შუქით ცხელდება. რადგან ცხიმი შედარებით დაბალ ტემპერატურაზე დნება, ქსოვილების სხვა უჯრედები კი ვერ ასწრებს დაზიანებას. შემდეგ სპეციალისტები, ლიპოსაქციის ნემსის მეშვეობით, ამოქაჩავენ გამდნარ ცხიმს. ექიმები ამტკიცებენ, რომ ლიპოსაქციის ასეთი მეთოდი გაცილებით უსაფრთხოა ორგანიზმისთვის. ტრადიციული პროცედურებისას სპეციალისტს ნემსი მკვრივ ცხიმში შეჰყავს და მისი ამოტუმბვა აზიანებს გვერდით არსებულ ქსოვილებსაც. ჯერჯერობით ახალ ტექნოლოგიას სწავლულები აქტიურად ცდიან ცხოველებზე, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, უკვე წლის ბოლოს კლინიკურ ცდებსაც ჩაატარებენ.

მეგობრების რიცხვი თავის ტვინზე მოქმედებს

ბევრ ადამიანთან ურთიერთობა თავის ტვინის იმ ზომას ადიდებს, რომელიც სოციალურ ქცევაზეა პასუხისმგებელი, — დაადგინეს ბრიტანელმა მეცნიერებმა ოქსფორდის უნივერსიტეტიდან. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ტვინი სოციალური გარემოსა და სოციალური უნარების მიხედვით ეწყობა, — ასე ხსნიან სწავლულები. მათ წინასწარი პატარა კვლევა ჩაატარეს 27-დან 70 წლამდე ასაკის 18 მოხალისეზე. ისინი გამოკითხეს, რამდენ მეგობარს ეკონტაქტებოდნენ ერთი თვის განმავლობაში კვლევების წინ. მეგობრების რაოდენობა 10-დან 40-მდე მერყეობდა. მკვლევარები შეეცადნენ, სოციალური კონტაქტის ნებისმიერი ფორმა გაეთვალისწინებინათ: პირადი, სატელეფონო თუ ელექტრონული. მათ ასევე მოხალისეების ტვინის სკანირებაც ჩაატარეს და გაარკვიეს, რა აქვთ საერთო ერთმანეთის მსგავსი სოციალური ცხოვრების მქონე ადამიანებს. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მათ, ვისაც ბევრ ადამიანთან ჰქონდა კონტაქტი, თავის ტვინის სფერო უფრო დიდი ჰქონდა, ვიდრე იმ ადამიანებს, ვინც შედარებით ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. აქედან მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ტვინის გარკვეული ნაწილის ზომა ინდივიდის ცხოვრების წესს უკავშირდება. თუმცა, სწავლულები ამის დამტკიცებას ვერ ახერხებენ, რადგან შესაძლოა ეს პირიქითაც იყოს — სწორედ ტვინის ზომა იყოს განმსაზღვრელი ადამიანის კონტაქტურობისა.

1.იტალიელი მოდელიერი, გაბანას მეწყვილე
2. ყელზე შემოსახვევი ქსოვილი
3. აურზაური, ჩხუბი, უწესრიგობა
4. ქალაქი, სადაც სოკ-ის შტაბ-ბინა მდებარეობს
5. ვარდის „თავდასაცავი“ იარაღი
6. გიგანტური ამფითეატრი ძვ. რომში
7. დედალი ჯიხვი
8.თბილისის ერთ-ერთი უბანი
9.სიარულის უნარის დაკარგვა
10. ჰერაკლეს ძმა
11. მხატვრული ლიტერატურის ჟანრი
12. ჟარგონი, დიალექტი
13.გასართობი მოწყობილობა საზოგადოებრივ პარკებში
14. ევკალიპტის დათვი
15.ბუჩქოვანი მცენარე წითელი მომჟავო ნაყოფით
16. „ჩიტი“ - ძველ ქართულში
17. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი
18. პალმის ერთ-ერთი სახეობა
19.ქართული ჟურნალი
20. მხარე დას. საქარ.
21. საბერძნეთის დედაქალაქი
22. აშშ-ის შტატი
23. ფრანკთა მეფე პიპინ-...
24. საფქვილე ყუთი წისქვილში
25.ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი
26. რეგის მეფე ბობ ...
27. ტიბეტის დედაქალაქი
28.სისხლის ნებაყოფლობით ჩაშბარებელი ადამიანი
29. პირველი ადამიანი მთვარეზე
30. ფრჩხილის ინფექციური დაზიანება
31. მაგარი ქანი
32. ათასი მილიარდი
33. პაგანინის სახელი
34.აშშ-ის ვირჯინიის შტატის დედაქალაქი
35.„სულიკოს“ მუსიკის ავტორის სახელი
36. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
37. ინდოეთის დედაქალაქი
38.ინგლის. ფეხბურთელი ... ფერდინანდი
39. შუამარბი ფეხბურთში
40. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
41.ჭიდაობის ილეთი
42.ჩასაბერი საკრავი
43. მეფის მასხარა „ჰამლეტში“
44. ნორვეგიის დედაქალაქი
45. (პოეტ.) მუდამ, ყოველთვის
46. ვიეტნამის დედაქალაქი
47. შეიარაღებული ბრძოლა სახელმწიფოებს შორის
48. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
49. ხელოვნურად გაშენებული ტყე
50. ოთხი წერტილი კამათელზე
51. ამერიკელი კინორეჟისორი დევიდ ...
52. „ძე“-არაბულ გვარებში
53.ბალეტის ერთ-ერთი მუსიკალურ-საცეკ. ფორმა
54. რადიოლო-კატორი
55. შთქართულად
56. თმის საღებავი ერთგვარი
57. მდინარე ერევანში
58. ფრანგული ავტომარკა
59.ზღვის ყაჩაღი, მეკობრე
60. საბავშვო ბისკვიტი შოკოლადის შიგთავსით
61. დიდი ჩაქუჩი
62. 1121 წლის 12 აგვისტოს ბრძოლა
63.დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
64.„გლადიატორის“ რეჟისორი ... სკოტი
65. რუსული ბილინების გმირი
66. მე-18ს. მხატვ. სტილი ევროპულ ხელოვნებაში
67. „თეთრი ოქრო“
68. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
69.ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში
70. ბიბლიური ისაკის ძე, იაკობის ტყუპისცალი ძმა
71. ძველებ. ინგლისური ოქროს ფული
72. ისლამის ორი ძირითადი მიმდინარეობიდან ერთ-ერთი
73. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
74. გალაკტიონის ლექსი „... მთვარე“
75. ფრანგი ფერმწერი ... დეგა
76.ინტელექტუალური თამაში „რა, ..., როდის?“
77. მწერალ მოპასანის სახელი
78.მსახიობი ... აფლეკი
79.ნაღვლიანი ლექსი
80. დაკოდილი ცხენი
81.რომის პაპის ბრძანებულება
82. სუმოისტების ტურნირი
83. ბანქოს სათამაშო მაგიდა, რომელზეც გადაკრულია მწვანე მაუდი
84. ღამის ფრინველი
85. მუსიკალური გამის II ნოტი
86. ჰიმალაიში მცხოვრები მითოლოგიური არსება, თოვლის კაცი
87.ძველეგვიპტელთა წმინდა ფრინველი

განწყობას სუპერ-აბი აგიმაღლებთ

მელბურნის უნივერსიტეტის თანამშრომლები სუპერ-აბის კლინიკურ ცდებს ატარებენ, რომელსაც ადამიანის განწყობის გამოკეთება შეუძლია. აბის შემადგენლობაში შედის ხუთი ბუნებრივი დანამატი. ეს პერპარატი მათ დასახმარებლად არის განკუთვნილი, ვისაც ანტიდეპრესანტები არ შველის. ის სხვადასხვა ნაერთს შეიცავს, ასევე თუთიასა და ფოლიუმის მჟავას, თუმცა აბი ანტიდეპრესანტი არ არის და მისი გაყიდვა ურეცეპტოდაც იქნება შესაძლებელი. ეს ახალი საშუალება, ტრადიციული დამამშვიდებლისგან განსხვავებით, არ არის მიმართული გარკვეული მექანიზმისკენ. პრეპარატი ზემოქმედებს მთელ რიგ ნეირობიოლოგიურ პროცესებზე. თუთია და ომეგა-3 ანთებას ხსნის. არის ვერსია, რომ დეპრესიას სწორედ ანთება იწვევს და ამიტომ ავსტრალიელი სწავლულები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი სუპერ-აბი ანტიდეპრესანტებზე გაცილებით ეფექტური იქნება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.